645/3
1982



# საქართველოს ქალი

2
1982

ISSN 0321-1509




აგერ, ექვს ათეულ წელზე მეტია, რაც რესპუბლიკის თავგაზეთი „კომუნისტი" თამამად აღებს ჩვენი გულისა და სახლის კარს და შემოდის შინ, როგორც სტუმარი კი არა — ჩვენი ოჯახის წევრი, მრჩეველი, მეგზური და მეგობარი.

წინ დიდი გზაა...

„საქართველოს ქალის" რედაქციის კოლექტივი, სარედაქციო კოლეგია და მკითხველები უსურვებენ საყვარელ გაზეთს კვლავაც ზრდასა და სრულყოფას.

„საქართველოს ქალი"
საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ყოველთვიური საზოგადოებრივ-პოლიტიკური და მხატვრულ-ლიტერატურული ჟურნალი.

«САКАРТВЕЛОС КАЛИ»
Ежемесячный общественно-политический и художественно-литературный журнал ЦК КП Грузии.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

17486

სსრ კავშირის შექმნის 60 წლისთავისათვის

ვახტანგ გორგანელი

# ძალა მეგობრობისა

ამ ხუთიოდე წლის წინათ გამარჯვების პარადს დავესწარი მოსკოვში. დღისით ვლადიმერ ილიას ძე ლენინის მავზოლეუმი მოვინახულე, მერე მავზოლეუმის ახლოს აღმართულ ბიუსტს ჩავუარე, წამით შევჩერდი თანამემამულის ბიუსტთან, სიამაყის გრძნობამ შემიპყრო, რომ ამ ისტორიულ კედლებთან ქვისგან ამოკვეთილი იყო იმ მოღვაწის სახელიც, რომელიც ქართლში დაიბადა და ახლა აქ ინვა სამარადისო დიდებით. ბიუსტთან კიდევ ორი კაცი გაჩერდა, მათაც ქუდები მოიხადეს... მომესალმნენ ქართულად:

— გამარჯობა, კაცო!

— გაგიმარჯოთ, თქვენი ჭირიმე!

შემოვბრუნდი თუ არა, მაშინვე მივხვდი, უკრაინელები იყვნენ, ერთის გამოხედვამ ფრონტელი მეგობარი ტურენკო გამახსენა. ისიც მაღალ-მაღალი იყო, გამხდარი, ათასნაირმა აზრმა გამიელვა, სტალინგრადის მიწას მივაბარე ჩემი ხელით და მაინც ეჭვმა შემიპყრო, რა იცით, ფრონტზე რა არ ხდება! ტურენკომ გულიანი სიცილი იცოდა, თანაც ხმამაღალი, ისეთი, რომ მისი ხმა კილომეტრებს სწვდებოდა, რის გამოც ბევრჯერ დაგვატყდა მტრის რისხვა. ოცეულის მეთაურმა ეს რომ იცოდა, ხშირად ხუმრობით გვაფრთხილებდა ხოლმე: მოერიდეთ ტურენკოსთან ოხუნჯობას, ხომ ხედავთ მაგის სიცილი როგორ ძვირად გვიჯდება.

— დიმიტრო მქვიან, კოვალჩენკოა ჩემი გვარი.

— მე კიდევ ნიკოლაი დიმიტრენკო გახლავართ. ხერსონის ოლქიდან ვართ ორივე. ჩვენი ერთი რაიონი ხელვაჩაურის რაიონს ეჯიბრება.

— ალბათ ბელოზერსკის რაიონს გულისხმობთ, ქვეყანამ იცის.

— დიახ!

— ამ ორი რაიონის ხსენებამ თითქოს დიდიხნის უნახავი მეგობრები შეგვახვედრა ერთმანეთს, მერე ისიც სად, წითელ მოედანზე!

დიმიტრო კოვალჩენკომ საბჭოთა კავშირის გმირი, მახინჯაურელი ისრაფილ ჯინჭარაძე გაიხსენა:

— ახლოს ვიცნობდი მას, ერთ ნაწილში ვიყავით, უკრაინელი ხალხი არასოდეს დაივიწყებს ჯინჭარაძის გმირობას, უბადლო შევარდენი იყო. ბელოზერსკელები ასევე სათუთად ინახავენ ლანჩხუთელი ვაჟკაცის დავით კვაჭანტირაძის ხსოვნას, რომლის საფლავი სოფელ კისელოვკაშია. მის სამარეზე ზამთარ-ზაფხულ უხვად არის ყვავილები.

მართლაც, რა ბუნებრივად არის ერთმანეთთან დაკავშირებული ქართველი და უკრაინელი ხალხების ბედი ამ დიდ სამამულო ომში! თქვენ წარმოიდგინეთ, უკრაინის გათავისუფლებისათვის სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაში ოცდათერთმეტ ქართველს საბჭოთა კავშირის გმირის წოდება აქვს მინიჭებული, ვინ დათვლის, კიდევ რამდენია პარტიზანული ბრძოლების მონაწილე, იატაკქვეშელთა ანტიფაშისტური ორგანიზაციის „ფაშიზმის წინააღმდეგ მებრძოლი ორგანოს" აქტიური წევრი, რომელსაც სათავეში ედგა გიორგი კალანდაძე, ან განა შეიძლება ზოია რუხაძის დავიწყება..

იმ მრისხანე წლებში მახარაძის რაიონის სოფელ შრომის კოლმეურნეებმა ერთი მილიონი მანეთი შეაგროვეს უკრაინის მტრისაგან გათავისუფლებისათვის სატანკო კოლონის შესაქმნელად.



კ. მარ... სახ. საქ. სსრ
სახ... კო რესპუბლიკ.
ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა



ბელოზერსკელი მეგობრები ახალშენში

არც ის იყო შემთხვევითი, რომ დაჭრილი გენიჩესკელები, უსახლკაროდ და ულუკმაპუროდ დარჩენილი ბავშვები და მოხუცები შეიფარა სოფელ შრომის მოსახლეობამ.

როცა ულხინდათ, შრომაში ეჯიბრებოდნენ, როცა დადგა ჟამი გაჭირვებისა, ძმა ძმას მხარში ამოუდგა, ასეთია კანონი სოციალისტური შეჯიბრებისა. ეს ძმობა და თანადგომა კი შორიდან იღებს სათავეს. ვნახულობთ ისტორიის გახუნებულ ფურცლებს და გვაოცებს საუკუნეთა გზებზე შერჩენილი კვალი სიკეთისა, რომელიც ერთი და ორი კი არა, უამრავია. განა შემთხვევით არის, რომ დავით აღმაშენებლის შვილიშვილი ცოლად გაჰყოლია კიევის მთავარს იაზისლავს? არც ის არის შემთხვევითი, რომ 1647 წელს დონის კაზაკები გონიოს ციხემდე ჩავიდნენ და ქართველებთან ერთად გაათავისუფლეს იგი თურქი დამპყრობლებისაგან. ბევრისმეტყველია იტალიელი მოგზაურის პიეტრო დელავალას წერილიც, რომელიც მან 1627 წელს რომის პაპს გაუგზავნა: „კოლხეთის მფლობელებმა კაზაკებს კაცი გაუგზავნეს და თურქებთან საომარი მიზნით თავიანთი ტერიტორია და კავშირი შესთავაზეს“.

ისტორია იმასაც ამბობს, რომ წარსულში 300 ათას ზაპოროჟიელ მეომრის გვერდით მტრის წინააღმდეგ 40 ათასი კავკასიელი იბრძოდაო. გვარებიც კი იხსენიება: მიხაილო გურჯი, კორნელი გუდჯული...

დრო გადიოდა, ბრძოლის ველზე თანადგომას სულიერი, ლიტერატურული და კულტურული ურთიერთობა მოსდევდა, რომელიც თანდათან უფრო და უფრო ხორცს ისხამდა და მტკიცდებოდა.

დავით გურამიშვილის უკანასკნელ ძვალშესალაგად უკრაინული მიწა იქცა. მას რომ უკრაინის ცისქვეშ არ ეგრძნო სითბო, მისი „დავითიანიც“ არ დაიწერებოდა. ალბათ არც ეს სტრიქონები წამოვიდოდა მგოსნის გულიდან: „ზუბოვკიდან მომავალმა ვნახე ერთი ქალი, მეტად ტურფა, მშვენიერი, მასზე დამრჩა თვალი...“ უკრაინელი პოეტი ქალის, უკრაინკას საქართველოში გატარებული სიცოცხლის უკანასკნელი ათი წელიც ორი ხალხის ურთიერთპატივისცემისა და მადლიერების საუკეთესო მაგალითია. სწორედ ამან ათქმევინა პოეტ ქალს: „მე რომ უკრაინელი არ ვიყო, ვისურვებდი ქართველი ვყოფილიყავიო“.

1895 წელს ხარკოვის თეატრის ერთ-ერთ სპექტაკლს აკაკი წერეთელი დასწრებია, რომელსაც თურმე მაყურებელი მქუხარე ოვაციით მიესალმა. უკრაინელებს ასევე არ დაუტოვებიათ აღუნიშნავი ილია ჭავჭავაძის მოღვაწეობის მე-40 წლისთავი... არც ის არის შემთხვევითი, რომ ხარკოვის, კიევის და ოდესის უმაღლესმა სასწავლებლებმა ფართოდ გაუღეს კარი ისეთ დიდ მამულიშვილებს, რომელთა ჩამოთვლაც კი გულს სიხარულით ავსებს: იაკობ გოგებაშვილს, პეტრე მელიქიშვილს, ნიკო ლომოურს, ვიქტორ დოლიძეს, კორნელი კეკელიძეს... ასევე მრავალი ქართველი მოღვაწის ჩამოთვლა შეიძლება, რომლებიც უკრაინის მიწაწყალზე სიკეთის თესლს აღვივებდნენ, და ხელს უწყობდნენ საუკუნეთა სიღრმიდან წამოსულ მეგობრობას, რომელიც ტრადიციად იქცა და დილის მზესავით მაღლა და მაღლა მიიწევს, რომ ცხოველმყოფელი სხივები მოჰფინოს ხალხთა მეგობრობის ჰორიზონტებს. ამის ნათელსაყოფად ბევრი თავფურცელი ამშვენებს საბჭოური მეგობრობის მატიანეს. აი, ერთი მრავალთაგანი. სამი ათეული წლის წინათ ხელვაჩაურის რაიონში საგრძნობლად ჩამორჩებოდა მეცხოველეობა. იყო მსჯელობა, კამათი, დავა, თუ როგორ დაეღწიათ თავი ამ ჩამორჩენისაგან. მაგალითად, სოფელ ახალშენის კოლმეურნეებმა წამოიწყეს მეღორეობის ფერმის მშენებლობა, მაგრამ სანაშენე ღორების შემოყვანა საიდან უფრო აჯობებდა, ვერ გადაეჭრათ. ერთმა თქვა, ჩრდილოეთ კავკასიიდან აჯობებსო — უფრო შეეგუება აქაურობასო, მეორემ თქვა, სტავროპოლისა უკეთესიაო, მესამემ ლატვია დაასახელა... ამ რჩევა-რჩევაში დრო გადიოდა, ფერმის შენება დასასრულს უახლოვდებოდა, ღორები კი არ ჩანდა.

ერთ საღამოს, როცა კანტორაში კოლმეურნეობის გამგეობის სხდომა მიმდინარეობდა, ძაძით მოსილმა ქალმა პირდაპირ შეაღო კარი... ომში დაღუპულის დედის მოულოდნელმა შესვლამ გაკვირვებასთან ერთად სამარისებური სიჩუმე ჩამოაგდო დამსწრეთა შორის, სიჩუმე ისევ თვალზე ცრემლმომდგარმა დედამ დაარღვია, მან, გაცრეცილი სამკუთხა ბარათი ამოიღო, ხელის კანკალით გახსნა, მაგრამ ვერ შეძლო მისი წაკითხვა.

— დამშვიდდი, ჩემო დაო!

— მაპატიეთ, რომ ისევ ჩემი დარდი და წუხილი მოგახვიეთ თავს, მინდა ეს ბარათი ყველას გასაგონად წაიკითხოთ.

კოლმეურნეობის თავმჯდომარემ დამშვიდდითო, კვლავ უთხრა დედას და ფრონტული ბარათის კითხვა დაიწყო:

„საყვარელო დედა, მე კარგად ვარ, მუსრს ვავლებ მოთრეულ ფაშისტებს. არ შეგარცხვენ, სადაც უნდა ვიყო, ჩემი ახალშენი თვალწინ მიდგას. მომენატრეთ, ძალზე მომენატრეთ, მძიმე ყოფი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლა მშობლიური სოფლისგან მოშორება, მაგრამ რამდენადაც ძნელია, იმდენად უფრო ძლიერად ვუტევ დამპყრობლებს, რომ მალე მოეღოს ბოლო ამ ომს. ვიცი, დარდობ და დარდობ, მაგრამ ჩემო საყვარელო დედა, ყველა დარდს სულ სიხარულით შეგიცვლი, ოღონდ შენ დამხვდი კარგად. დედა, იმ დღეს ფაშისტებმა ხერსონის ახლო სოფლიდან ასამდე ღორი გაიტაცეს, მაგრამ არ შერჩათ, ჩვენ სოფელი გავანთავისუფლეთ, ჩვენმა პარტიზანებმა გატაცებული ნადავლი მტერს წაართვეს და სოფელს უკან დაუბრუნეს. ჰაუ, რა ჯიშიანი ღორებია! მაშინვე ვთქვი, ნეტავ ახალშენში მოგვცა ასეთი ღორები მეთქი. თუ გადავურჩი ამ ომს, ხერსონის ოლქიდან რამდენიმე სანაშენო ღორი უნდა წამოვიყვანო და ახალშენში მოვამრავლო.

გკოცნი დედა, მაგრად იყავი, შენ ხომ ჩემი დედიკო ხარ! თუ წერილმა დაიგვიანოს, არ შეგეშინდეს“.

თავმჯდომარემ წერილი მძიმედ დადო მაგიდაზე, ცრემლგამშრალ დედას მიაპყრო მზერა. და განა მარტო მან, ახლა მთელი დარბაზის თვალი დედისკენ იყო მიმართული.

როგორც იყო გალღვა დუმილის ყინული, გადაწყდა, უკრაინაში, კერძოდ ხერსონის ოლქში გაეგზავნათ კაცი სანაშენე ღორების შესაძენად. გამგეობის აზრი პარტიის რაიკომს გაუზიარა თავმჯდომარემ. მოუწონეს სურვილი, მხარი დაუჭირეს წინადადებას. 1952 წლის 13 ნოემბერს ხერსონისაკენ გზას გაუდგა კოლმეურნეობის ბუღალტერი ნიკოლოზ ბერიძე. რომ არ ელოდა, ისე შეხვდნენ აჭარიდან ჩასულ სტუმარს ხერსონელები. ოლქის სოფლის მეურნეობის მთელი სამმართველო ფეხზე დადგა. სამმართველოს უფროსმა ბელოზერსკის კოლმეურნეობის თავმჯდომარეს ვასილ ტესლიას დაურეკა:

— ვასია, შენი ღორები მთელ ოლქში განთქმულია, საქართველოდან კაცი გვეწვია, რამდენიმე სანაშენედ უნდა, მოვა შენთან, აბა შენ იცი, ხელი შეუწყე.

ნიკოლოზ ბერიძე ჩავიდა სოფელ ბელოზერსკის ბუდიონის სახელობის კოლმეურნეობაში. სასურველ სტუმარს ჯერ მეურნეობა დაათვალიერებინეს, გააცნეს დაწვრილებით, თუ რა შედეგებს აღწევდნენ, როგორ უძღვებოდნენ საქმეს, რა უფრო მომგებიანი იყო. ნიკოლოზ ბერიძემ მთელი ინტერესი მაინც მეცხოველეობაზე გადაიტანა, რადგან ეს საქმე ბელოზერსკელებს მართლაც რომ მაღალ დონეზე ჰქონდათ განვითარებული, მათგან ბევრი რამის სწავლა შეიძლებოდა.

სტუმარმაც გადაუშალა გული მასპინძლებს, როგორც სარკეში, ისე ჩაახედა ისინი ახალშენის კოლმეურნეობის საქმიანობაში. ვასილ ტესლიას ბევრი რამ ჭკუაში დაუჯდა, იფიქრა, ასეთ კოლმეურნეობასთან მეგობრობა და სოციალისტურ შეჯიბრებაში გამოწვევა მართლაც ღირსო.

— ძმაო ნიკოლოზ, გვინდა თქვენს კოლმეურნეობას დავუმეგობრდეთ, სოციალისტურ შეჯიბრებაში გამოგიწვიოთ. თუ არ დაგვზარდები, მოდი, ამ საქმეში შენ გაგვიწიე შუამავლობა...

ბელოზერსკელებმა ხელშეკრულების ტექსტი შეადგინეს და ნიკოლოზ ბერიძეს ახალშენში გამოატანეს.

ახალშენელ დესპანს ბელოზერსკელებმა ისეთი 17 სანაშენე ღორი შეურჩიეს, რომ ავ თვალს არ ენახვებოდა.

მასპინძლებმა კიდევ უფრო მეტი გააკეთეს, ცნობილი მეღორე ოლგა ბიკოვაც ექვსი თვით მოავლინეს ახალშენში, რომ ფერმის მუშაკებისათვის გამოცდილება გაეზიარებინა და დახმარებოდა ღორების მოვლა-პატრონობაში.

ბელოზერსკის კოლმეურნეთა სოციალისტურ შეჯიბრებაში გამოწვევის ტექსტში ნათქვამი იყო, რომ თითოეულ ჰექტარზე გეგმით გათვალისწინებულ ხორბლის მოსავალს 5 ცენტნერით გადააჭარბებდნენ, ასევე გაზრდიდნენ სხვა სახის მოსავლიანობასაც, აამაღლებდნენ შრომის ნაყოფიერებას, დისციპლინას, დანერგავდნენ ტექნიკის სიახლეებს...

ახალშენელებმა მიიღეს გამოწვევა და ხელშეკრულებით იკისრეს 640 ტონა ხარისხოვანი ჩაი მოეკრიფათ, 30 ჰექტარზე ციტრუსები გაეშენებინათ, აღდგენის და გაშენების ხუთწლიანი გეგმა სამ წელიწადში შეესრულებინათ და ერთ საფურაჟე ძროხაზე 8 800 ლიტრი რძე მიეღოთ. გაზრდილი ვალდებულებები იკისრეს ცალკეულმა რგოლებმა, ბრიგადებმა, კოლმეურნეებმა...

აფრინეს საპასუხო გამოწვევა ახალშენელებმაც. მეგობრობის წერილს 1953 წლის დეკემბერში ბელოზერსკელთა დელეგაცია მოჰყვა.

— როგორც კი ფეხი დავდგით საქართველოს მიწაზე, მეგობართა გარემოცვაში აღმოვჩნდით, ძალიან გულთბილად შეგვხვდნენ ქართველი მეგობრები, — აღტაცებული იმეორებდა სოციალისტური შრომის გმირი ევდოკია შპაკი.

1954 წელს ახალშენელთა დელეგაცია გაეშურა უკრაინაში.

„ძმაო ძმითა ხარ ძლიერი“ — რა დიდებულად უთქვამს პოეტს. ორი კოლმეურნეობის სოციალისტურმა შეჯიბრებამ შედეგიც გამოიღო.

ახალშენელებმა 1951 წელთან შედარებით 20 წლის მანძილზე 140 პროცენტამდე გაზარდეს ჩაის წარმოება. მარტო ამ დარგიდან კოლმეურნეობამ მილიონ მანეთზე მეტი შემოსავალი მიიღო. დაამზადეს 2 300 კილოგრამი აბრეშუმის პარკი, ასევე დიდი რაოდენობით მოიწიეს მანდარინი, ლიმონი, ტუნგო. რომ არ ახსოვთ ახალშენელებს, თითოეულ ფურზე 2 200 კილოგრამი რძე ჩამოწველეს, დაწინაურდა მეცხოველეობის დარგი, ფასი დაედო კაცდღეს, მარტო მეჩაიეებზე პრემიის სახით 90 000 მანეთი გაიცა...

მთლიანად სახე იცვალა სოფელმა, გაქრა მიწურები, აშენდა ახალი სახლები, კლუბ-კანტორა, საშუალო სკოლა, გაიჭრა ახალი გზები, დაიგო ასფალტი...

ბელოზერსკის კოლმეურნეებიც არ დარჩენილან ვალში მეგობრების წინაშე, მათაც პირნათლად შეასრულეს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები: სოფლის მეურნეობის ყველა სახეობაში თითქმის სამჯერ და კიდევ მეტად გადაამეტეს გეგმას. სოფელ ბელოზერსკიმაც ისე იცვალა სახე, რომ მარტო სტუმრად ჩამოსულ ახალშენელებს კი არა, ბელოზერსკელებსაც უკვირდათ თავიანთი სოფლის გამშვენიერება.

ერთ-ერთ თავის წერილში ბელოზერსკის კოლმეურნეობის თავმჯდომარის მოადგილე ა. სიკოზა, შეჯიბრებით აღტაცებული, ასე ამბობს: „რაშია ჩვენი მეგობრობის ძალა? მისი ძალა იმაშია, რომ ქართველი და უკრაინელი მეგობრები ერთმანეთისაგან სწავლობენ, თუ როგორ გამოიყენონ უკეთესად შრომითი რესურსები და მატერიალური საშუალებები საზოგადოებრივი დოვლათის გასამრავლებლად, როგორ მოიყვანონ მოქმედებაში გამოუყენებელი რეზერვები, როგორ გაზარდონ სასაქონლო პროდუქცია და აამაღლონ მშრომელთა მატერიალური კეთილდღეობა“.

დიდებულადაა ჩამოყალიბებული, სიტყვას ვერ დაუმატებ. აი სწორედ ამან განაპირობა ის, რომ ორი კოლმეურნეობის მეგობრობა ათი წლის შემდეგ ორი რაიონის მეგობრობის საწინდარი გახდა. სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩაებნენ ხელვაჩაურის რაიონი და ბელოზერსკის რაიონი, შეჯიბრების შედეგები ჯამდება ყოველწლიურად, დაწესდა გარდამავალი დროშები გამარჯვებულთათვის, ხელვაჩაურელები ბელოზერსკის რაიონის მოწინავე ორგანიზაციებს გადასცემენ ამ გარდამავალ დროშებს, ბელოზერსკელები კიდევ თავის მხრივ აჯილდოებენ ხელვაჩაურის რაიონის მოწინავე კოლექტივებს.

სოციალისტური შეჯიბრების სიკეთე ორივე რაიონის თითოეულ სოფელს ეტყობა, ვერ ნახავთ მტკაველ მიწას, რომ ამ შეჯიბრების მადლით არ იყოს ნათელმოსილი. ახლა უკვე ისე დგას საქმე, რომ გიჭირს კიდეც გამოარჩიო რომელი რაიონი უფრო წინ მიდის. ამით ხელვაჩაურელებიც ამაყობენ და ბელოზერსკელებიც.

შარშან ერთმა ბელოზერსკელმა თქვა:

— მართალია, რომელი რომელს ვჯობივართ, ძნელია ამის დადგენა, მაგრამ საქმე საქმეზე თუ მიდგა, ამ მეგობრობით ჩვენ უფრო მოვიგეთ. წინათ გვეგონა ვაზი ჩვენში ვერ ივარგებდა, ქართველმა მეგობრებმა დაგვარწმუნეს, რომ ვაზი ფესვს მოიკიდებდა ჩვენთანაც. ქართულმა ვაზმა და ვენახმა კარგად იხარა უკრაინის მიწაზე და ქართველ სტუმრებს ახლა ქართული ღვინით ვუმასპინძლდებით.

ქართული ვაზის მადლს რომ ლოცავს უკრაინელი, განა ეს ქართველი კაცისათვის საამაყო არ არის!

ხელვაჩაურელებმაც ბევრი რამ ისწავლეს ბელოზერსკელებისაგან. განა ეს უკრაინელებისათვის საამაყო არ არის.

რა თქმა უნდა, არის!

ეროვნული ბიბლიოთეკა

### ყრილობამ მოითხოვა უპირველესი ყურადღება დაეთმოს სახალხო მოხმარების საქონლით მოსახლეობის მომარაგებას

# ერთ საწარმოში

რეპორტაჟი

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის IV პლენუმზე ითქვა:

„არა მარტო ეკონომიკური, არამედ სოციალურ-პოლიტიკური თვალსაზრისით უმნიშვნელოვანესი ამოცანა გახლავთ სახალხო მოხმარების საქონელზე მოსახლეობის მოთხოვნილების დაკმაყოფილება“ ვიხსენებ ამ სიტყვებს, როცა შევდივარ თბილისის გაზის აპარატურის ქარხანაში. შესვლისთანავე ჩვენს ყურადღებას მოვლილ-ნასათუთევი ეზო იპყრობს. ეზოს ვამბობთ, თორემ ნამდვილი ბაღნარია. ჯერ ისევ ყელყელაობენ ყვავილები, აუზში ლალად დაცურავენ წითელი თევზები. უხვად არის დეკორატიული მცენარეები. მებაღეს, გამრჯე და ფაქიზი გემოვნების მშრომელ კაცს, ზაქარია ჭანყოშვილს თავისი ხელით მოუჩუქურთმებია მთელი გარემო. ყველაფერი გამოუყენებია — ანარჩენები, ცემენტი, ქვიშა, მცენარეები და ჩამოუძერწ-ჩამოუწნია სხვადასხვა ცხოველები. სწორედ ეს ეზო-ბაღია მუშათა სიამაყე, სანუკვარი დასასვენებელი ადგილი.

ილება ქარხნის კარი. მოაბიჯებენ თექვსმეტი ეროვნების ადამიანები, ვინც ქმნის პროდუქციას, სახელმწიფო დოვლათს. აგერ ისინიც, მოწინავენი, საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობის დელეგატი მედეა ბეგლარიშვილი, ლენინის ორდენოსანი ზეინაბ ანჯაფარიძე, რაციონალიზატორ-გამომგონებლები შალვა ჯაფარიძე და მზალო ბასილაშვილი, ინეზა დოხნაძე და ასია ყაზაროვა, რაციონალიზატორები ნოდარ ტრაპაიძე, გელა შილაკაძე, ნიკოლოზ ემილიანოვი, რევაზ დემეტრაშვილი, ომარ ასლამაზიშვილი, ალექსანდრე მჭედლიშვილი, შალვა გელიტაშვილი.

აქ ყოველი წუთი ძვირფასია. სწრაფად იკავებენ საამქროში თავიანთ ადგილს ვერა სიხარულიძე, ქრისტინე მაზმიშვილი, მარიამ ნახუცრიშვილი. მაგული ხელაძე, ოლღა ელიზაროვა, აშოტ ოქროაძე, ხვთისო წიწაკაშვილი, ვალი-მამედ გუსეინ-ოღლი. ეს ის ადამიანები არიან, რომლებმაც ვადაზე ადრე შეასრულეს 1981 წლის გეგმა-ვალდებულებანი და კარგახანია 1982 წლის შრომითს ვახტზე დგანან. ახმიანდნენ დანადგარები, დაიწყო კიდევ ერთი ნაყოფიერი, საინტერესო შრომითი დღე.

ქარხანას 1952 წელს ჩაეყარა საფუძველი. იგი 275 მუშა-მოსამსახურეს ითვლიდა და მომინანქრებული ჭურჭლის ქარხნად იწოდებოდა. 1958 წელს თბილისის გაზის აპარატურის ქარხნად გადაკეთდა. აქ ამზადებენ გაზქურებს, ოთახის გამათბობლებს, ფართო მოხმარების საგნებს: მოხატულ სინებს, საფერფლეებს, დეკორატიულ თეფშებს, მომინანქრებულ თასებს.

— შარშან, წლის ბოლოსათვის ხარისხის ნიშანზე წარვადგინეთ ინდივიდუალური სახლის გამათბობლები, — გვითხრა ქარხნის დირექტორმა შალვა ჯაფარიძემ, — ახალი წლიდან ავითვისებთ ახალი ტიპის გაზქურას, რომელიც უპასუხებს თანამედროვე მოთხოვნებს და ხარისხის ნიშანზე წარვადგენთ. გამოვუშვებთ სამსანათურიან მაგიდის და საველე გაზქურებს.

უკანასკნელ წლებში ქარხნის ცხოვრებაში დიდი ძვრები მოხდა, აშენდა ახალი კორპუსები, რითაც საშუალება მიეცათ სხვადასხვა ადგილას გაფანტული უბნები და საამქროები ერთმანეთს დაკავშირებოდა. დაიზოგა დრო, სახსრები. შეიცვალა ძველი დანადგარები და კონვეიერი. საგრძნობლად გაიზარდა ქარხნის სიმძლავრე. შრომის პირობების გასაუმჯობესებლად გარკვეული სამუშაოების შესრულების შემდეგ დამონტაჟდა ახალი ლუმელი. მისი ამუშავების შედეგად გაუვნებელდა მავნე ნივთიერებების მოქმედება, განხორციელდა საწარმოო პროცესების მექანიზაცია და ავტომატიზაცია. როგორც კი გაუმჯობესდა შრომის პირობები, ამაღლდა პროდუქციის ხარისხიც. მნიშვნელოვნად ამაღლდა პროდუქციის წარმოების ზრდის ტემპი, ამაღლდა შრომის ნაყოფიერება. შარშან ათ თვეში გეგმით გათვალისწინებული 5.915 მანეთის ნაცვლად 6.108 მანეთის პროდუქცია გამოუშვეს. სკკპ XXVI და საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობებმა საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის მკვეთრი ამაღლების კომპლექსური პროგრამა დასახეს, რომლის შემადგენელი ნაწილია მატერიალური რესურსების გონივრული გამოყენება, მათი მომჭირნეობით ხარჯვა.

— ქარხნის პარტიული ორგანიზაცია, — გვითხრა ქარხნის პარტბიუროს მდივანმა სულიკო ტურძელაძემ, — დიდ ყურადღებას აქცევს რესურსების გონივრულად გამოყენებას, ნედლეულისა და მასალების ეკონომიკური ხარჯვა შესაძლებლობას გვაძლევს იმავე რესურსებით გამოვუშვათ მეტი პროდუქცია, ამით ხელი შევუწყოთ სახალხო მეურნეობისა და მოსახლეობის მოთხოვნილებათა უფრო სრულ დაკმაყოფილებას. მაგალითისათვის მინანქრის დამამზადებელი უბნის ამბავს მოგითხრობთ. ამ უბანს ხელმძღვანელობს მზალო ბასილაშვილი. უბანმა 1980 წელს 25.790 მანეთის ეკონომიას მიაღწია, ხოლო შარშან ათ თვეში აქ 37.817 მანეთის ეკონომია გასწიეს. უბნის მუშებმა პრემიის სახით 200-250 მანეთი მიიღეს.

ქარხანამ 1980 წელს 149 ტონა ფურცლოვანი ფოლადი დაზოგა, 1981 წელს შეიცვალა ქურის ზოგიერთი დეტალი, რამაც 164 ტონა ფურცლოვანი ლითონის ეკონომია მოგვცა.

მომჭირნეობაში განსაკუთრებულ როლს ასრულებენ საზოგადოებრივი კონტროლის ორგანიზაციები. კომკავშირულ პროჟექტორთან ერთად სისტემატურად ეწყობა რეიდები. მათი მუშაობის შედეგია, რომ შარშან ათ თვეში დაიზოგა 469 ათასი კილოვატსაათი ელექტროენერგია, გაზის ეკონომიამ 175 პირობითი ტონა შეადგინა.

ქარხანაში დიდად ფასობს ქალთა შრომა. 360 ქალი იბრძვის საწარმოს ღირსების



ქარხნის დირექტორი /შალვა ჯაფარიძე/ ესაუბრება ახალგაზრდა სპეციალისტებს



საქართველოს კომპარტიის 26-ე ყრილობის დელეგატი ზეინაბ ანჯაფარიძე



ცენტრალური ლაბორატორიის უფროსი მზალო ბასილაშვილი

დასაცავად. მუშა ქალების დიდი მეგობარი და მრჩეველია ცენტრალური ლაბორატორიის უფროსი მზალო ბასილაშვილი. მისი უანგარო შრომა ახალგაზრდებისათვის მისაბაძი და სამაგალითოა. მზალო ქებას არასოდეს გაუთამამებია, მხოლოდ იღიმება, ღიმილითვე იძლევა შენიშვნას. ქალებს სჯერათ მისი, აფასებენ, პატივს სცემენ უფროს კოლეგასა და ამხანაგს. მისი მახვილი თვალი ყველასა და ყველაფერს სწვდება. ქალებს სამდურავი არ ეთქმით ადმინისტრაციის მიმართ. მათთვის შექმნილია ქალთა სალონი, საშხაპეები, გასახდელი, სამედიცინო პუნქტი, ჰიგიენის ოთახი, საპარიკმახერო, სამკერვალო, ქიმწმენდა, გაქირავების პუნქტი. მათი შვილებისათვის ქარხანა აშენებს საბავშვო ბაღს, შემუშავებულია პროექტი ფასანაურში პიონერთა ბანაკის ასაშენებლად. აქაური ქალებისათვის მთავარი კი მაინც ის არის, რომ სკოლაში მოსწავლე შვილების ავ-კარგი მთელი სიზუსტით იცის ქარხანამ. საამქროების მიხედვით დადგენილია ოჯახთა რაოდენობა, ოჯახური მდგომარეობა, აღრიცხულია მრავალშვილიანი და მარტოხელა დედები. ოჯახისა და სკოლის ხელშემწყობი საბჭოს სხდომაზე განიხილავენ, ეცნობიან მოსწავლეთა აკადემიურ წარმატებას, უდისციპლინო მოსწავლეთა საკითხს. გახსნილია თითოეული მოსწავლის ანკეტა, აწყობენ მრავალშვილიან დედებთან შეხვედრას, იმართება კონკურსი თემაზე: „საუკეთესო ოჯახი", „მუსიკალური ოჯახი", ხშირად ეწყობა გადაცემები აღზრდის თემაზე, შეხვედრები დაწყებით და დამამთავრებელი კლასის მოსწავლეებთან. მამათა შეკრებები და სხვ. ნაყოფიერ მუშაობას ეწევა ქარხნის მშობელთა უნივერსიტეტი. აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ქარხნის მუშა-მოსამსახურეები სპორტის დიდი მოყვარულები არიან. აქვთ სპორტული კომპლექსი, გაერთიანებული არიან სხვადასხვა სპორტულ წრეებში.

თბილისის გაზის აპარატურის ქარხნის გამოშვებულ პროდუქციას მაღალ შეფასებას აძლევენ კავშირის სხვადასხვა ქალაქების მცხოვრებნი და მოდის მადლობის წერილები არმავირიდან, კრასნოდარიდან, ნოვოროსიისკიდან, მაიკოპიდან, სტავროპოლიდან, კურსკიდან, პემზიდან...

უფროსი თაობის მშრომელებს არ ჩამორჩებიან ახალგაზრდები. კომკავშირულ ორგანიზაციაში (მდივანი ნატო ზვერიაშვილი) 156 წევრი ირიცხება. ქარხნის სული და გულია ორი ახალგაზრდული ბრიგადა დემიკო მეტრეველისა და მაია გედევანიშვილის ხელმძღვანელობით.

ბევრი რამ კეთდება „გაზის აპარატურის" მუშათა მდგომარეობის გასაუმჯობესებლად. ბევრი რამ კვლავ გასაკეთებელია. მშრომელი ადამიანისათვის ზრუნვა უოველთვის უნდა იდგეს ქარხნის ხელმძღვანელის, პარტიული და პროფკავშირული ორგანიზაციების მუშაობის დღის წესრიგში. ამ ზრუნვას მუშათა კლასი თავდადებული შრომით უპასუხებს.

ლილი მესხი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ელისო ზარიძე

# თაფლო

მოთხრობა

მხატვარი ჯ. ლოლუა

— ხბო გადაგირჩა? — შორიდან გასძახა თამარამ, ხიდის ყურში რომ გამოჩნდა ნათია, მას აქეთ ელოდებოდა. მუდამაც ელოდებოდა ხოლმე, დაბიდან მომავალს გზაზე თუ დალანდავდა დე თან ვილაცას უბრაზდებოდა გულში, — ამოდენა გზაზე სიარულით დადნება ეს გოგო, ისედაც კნაჭუაა, ფილში ჩასანაყიო.

— გადამირჩა, — დაიწკრიალა გოგომ, — დაკუნტრუშობს. რაც ის შენი ბალახების ნახარშითა ვჭყიპე!

— დაგინომრა?

— სუსტიაო, ეგება კვდებაო. ალექსას ამბავი არ იცი?

— მუცელში კი გასწყალებიყო ერისთვიანთ მაშუასა, რო ეგ არ ეშობნა, კაი კაცი ეგ არი! დანომრილი ველარ მოკვდება-თქო?

დაუყვნენ თავქვე. ხევში ისეთი დაწმინდავებული წყალი მოდგაფუნობდა, დაიხარა გოგო და ხელი ჩაყო. ცოტას გაწყდა, თამარას არ შეაშხეფა. ბილიკს რომ აუყვა ხევიდან, მოხედა თამარას. იმ თავისი ხბოსავით არ მოკუნტრუშობდა! დაგეძახა პენსიონერი!

— მარტო ორი დღით დაეთხოვე? — ჰკითხა ნათიამ.

— ორითა და ის ორიც დამამუნათა. გული აღარ დამიდგა, გავიდე-მეთქი, იმ ჩემ ცალგულა ბიჭ დავხედო-მეთქი, დაბლა სართული კიდეც აუყვანიათ. კოჭები გაუწყვიათ, გაძვალებული, მშვენიერი. ავ თვალს არ ენახვება. საუკუნეს ჩქამ არ გაიღებს.

— რაო, არ გვინდა ვენახიო?

— რის ვენახი! ახსომთ კია! ჩემი თავწაჭმული რძლის ამბავი არ იცი? სუ მაშინ მოუნდა დავების დაჭერა და ბუზღუნ-ბუტბუტი. აუტყდა ბიჭ, სახლ აფუჩეჩებო, ეს რა ლამფის ფიცარი გიყიდნია, ხახვის ფურცელივით არიო. გასრულებულათ ველარც კი ვილაპარაკეთ. ვენახი რო სდომნიყოთ, გულ აიყრიდნენ, დაბაში გაცვივდებოდნენ და აქ ღვთის ანაბარა დამაგდებდნენ? მოვკვდები და ჩამამართმევენ. ამ ჩემ ეკლესიასავით დანარნარებულ ვენახში სხვა დაიღიღინებს.

არც კი უსმენდა გოგო. თამარას დარდი ჰქონდა? ყურდაცქვეტილი, სუნთქვაშეკრული, მიწასა და ჰაერში გამჯდარ სიმღერას იყო მიყურადებული და ფეხის წვერებზე შემდგარიც კი გრძნობდა, როგორ უფეთქავდა ფეხქვეშ დაძარღვული მოლი.

— ახლა, — ხელი წაავლო მაჯაზე თამარამ და იქვე დააყოლა: — სასიკეთოთ ხელი გეხლოს, ახლა, უნდა გითხრა: გუშინ, დაბაში, ჩემმა რძალმა გამანდო: კი არ გამთქვაო, და, ალექსა უნივერმალში თავშალსა ყიდულობდაო. ესე, შავწითელი ვარდებით იყო ამოქარგულიო. უწინდელი ქიშმირისასა ჰგავნდაო. გავიხედოთ, და, ის იყო, დაბიდან გამოვლელი, ესე, შელამებულზე, გადმოვიდა ეს ჩვენი სასიკვდილე ქეთუა, მაწვნის დედა გადამიყრუვდაო. რასა ვხედამ, სწორედ ის ალექსას ნაყიდი თავშალი არ ახვევია? ეგეც დასტური! გენაცვათ, საქმე აქთ ერთმანეთში, მა, რა!

მიატანეს ფერმას. მხარი უქციეს კართან დაზვინულ პატივის გროვას, იქაურობა ცხელი ნეხვის სუნით რომ დაეჟივჟივებინა. იქვე, ტოტებჩამოხეთქილი მუხის ქვეშ, მთვრალი კაცივით წაბარგანავებული რომ იდგა, გვერდებგადაბრეცილი, ბევრი ტოტები კრამიტებაყრენებული ფერმის შენობისათვის გადაეხვია. და ოსიაანთ ზაირა ამბობდა ხოლმე, სუ ჩემ ქმარსა ჰგავსო, — ყარაულს ეძინა. ოსიაანთ ზაირას ქმარს, ფედრას, ეგრევე, სოტიო მიწაზე. ეტყობა ძილში სციოდა და ზლარბივით აბურძგნულიყო და მოკუნტულიყო.

— ვაი, ზაირას ბრალიცა, — წაიტუტუნა თამარამ, — უკვე მოუსწრია, გენაცვათ!

ფერმაში რომ შევიდა, ნათიამ ჯერ თაფლოს გახედა და პირკატა ეცა. თაფლოს ადგილზე სხვა ძროხაება, უცხო, უთვალტანადო, ფერდებჩალასტული, გეგონება გაგიზეპიაო, ქანაობა გაჰქონდა. დაფეთებული ჩაჰყვა ბაგებს და შიშშეპარული ხმით აღმოხდა:

— თაფლო რა იქნა?

ყველა თავისი საქმით იყო გართული, გამოხედეს აქეთ-იქიდან, ისე, ზლაზვნით და ამას იმოდენაზე გაუგრძელდა ის ჩუმი, უსიტყვო მზერა, დაიწივლა ერთბაშად:

— ჩემი თაფლო რა იქნა!

გაცვივდნენ გარეთ. მუხის ქვეშ მძინარე ყარაულს ეცნენ, ატეხეს კრიახი. წამოჯდა ფედრა, ძლივს აიტანა მორღვეული წელი, ახამხამებდა თვალებს, ეძინა ისევ.

— გაიღვიძე, შე მინადასაყრელო, თაფლო რა უყავი, რა ამლამუზი გამოუვარდა, რა ვქნა — აჯანჯღარებდა ცოლი.

— მე რა... ალექსამა, უნდა ჩავაბაროთო, დამზადებაში... — აგინებდა ვილაცას, ბანცალით გაეცალა იმათ, ადგილს ათვალიერებდა, რომ სადმე, მზის გულზე, ისევ მიწოლილიყო.

გაშრა გოგო. ერთბაშად დაეწრიტა გული. ხელ-ფეხიც კი გაუცივდა. იქვე ჩაჯდა, ბილიკის პირზე, ლურჯად ალანძულ იონჯებში, მოკუნტული, ჯერაც გაშტერებული და გაკვირვებული, უცებ ამოპრიალებული და უცებვე ჩანავლებული თონესავით სითბოგაპარული. ქალები კი:

— უფროსობასაც რო თვალზე ლიბრი აქ გადაკრული, ქა! იმ წინეებზეც ბურჯივით უშობელი წამააქციეს, ოჯახს დაასახლებდა.

— დამზადებაში არა, ერთი! ქელეხისთვინ სადმე წააყვანინებდა. ყველას მკვდარი და ცოცხალი ჩვენ კისრებზე არ უნდა გადაატაროს!

— ზეით ფერმიდანაც ეგრე არ გალალეს! ჩემი მაზლის ბიჭმა თქო, მე დამაწერესო, ვითომ ნადირის დაგლეჯილი გავყიდე წერტშიო.

იჯდა გოგო. მზის გულზე, ტირიფის ძირში მიწოლილ ყარაულს გასცქეროდა, წელანსაქეთი ყურისწამლებად აბზუებული, გაკაპასებული ფუტკარი რომ ეტანებოდა და ზედ ყურის ბიბილოზე უნდა ჩაესო ნესტარი. ისინი კი, ქალები, ლაპარაკობდნენ:

— სოსუას ბიჭის ქელეხისთვის წაიყვანდნენ. სოსუა და ალექსა დოსტები არიან.

— სელპოს ბუღალტერი როა, გიგლა, იმის დედის წლისთავიც არიო. ჩვენც დაგვპატიჟეს.

— საიდან სადაო?

— იჰ, აბა, რა ვიცი. ჩემი მულის მხრიდან-თუ! ჩემი მულის ქმარი და სელპოს ბუღალტერი ერთი განაყრები არიან. ან იმ ჩემ მულიაანთ ფული ვინ მიაშავათ, ორივენი უმუშევრები ყრიან, ცოლიცა და ქმარიცა. ან ეს ჩემი შავი წურბელა ჯიბეზე კაპიკს დაიყენებს? იმ ქელეხის ფულებს ისევ მე დამცინცლამენ. მე უნდა ვიხალო თავში ქვა. — ოსიაანთ ზაირამ ტირიფის ძირში წამოგდებულ ქმარს გახედა, ცალი ხელით ყურის ბიბილოს რომ ჩაჰფრენოდა და ისე ისრესავდა, ლამის მოეგდებინებინა და უბოროტოდ მიაყარა ქოქოლა.

ივიშვიშეს კიდევ. წაიჭორ-წამოიჭორავეს, სანამ შალიკომ არ დაუყვირა, მწყემსმა, — შუადღე გადავიდა, ქალებოო. დასწვდნენ ისევ ვედროებს. მიუსხდნენ თავთავიანთ ძროხებს, ლაპარაკით ცოტა მაინც გულმოოხებულები და ღონიერი ხელებით ჩამოძაგრეს და ჩამოწელეს ცურები. გოგომაც, პირგამეხებულმა, ერთი ზრიალ-გრუხუნი აუყენა თავის ვედრო-ბიდონებს. იმ უცხო ძროხას კი, თაფლოს ადგილზე რომება, მუშტისოდენას, ზედაც არ შეხედა, ჭიქანიც კი არ შეუთვალიერა.

ასუფთავებდნენ ბაგებს. წელში წაკუზულებს, იმოდენა პატივის ზიდვით გაზნექილებს, გაოფლილებს, ათვალისწუნებული ქეთუას

ეროვნული ბიბლიოთეკა



ჯიბრზე, ერისთვიანთ ალექსა გაჰქონდათ და გამოჰქონდათ: მაგანაო, — თამარა ამბობდა, — ჩვენი გამწარების მეტი არა იცის-რა, ერთი მაიმუნი ნაკელის გასატანი დაადგმევინა მოსაჩვენებლად და ისიც ეგრე ჩამოგვიხმა და ჩამოგვეძარცვა უმოძრაობითაო; შიგნიდან ჩვენ გვიბრმავებს თვალებ, გარედან ჩვენ ავათ მახსენებელსაო. ეგ რა არი, შენ ისა თქვიო, — იქადნებოდა ოსიაანთ ზაირა, — ყველას საძირში რომ ილებდა და ქალები ეტყოდნენ ხოლმე, წყევლა-კრულვაში ხარ გაჩენილიო, — მაგას ისე მოუთაფლავს კალატოზი გაიოზა, ისე მოუქონია თავი, თავის კალმით დახატულ გოგოს ატანს თურმე, მაგ ღვინის ტიკჭორასა, მაგასაო. ის კი არაო, — კუნჭიაათ ლიზიკომ, — მაგის გამონაცვალ საყვარლებს იმ დღეს, კანტორაში, საანგარიშოზე ითვლიდნენო. ეგ პირქვე დასამარხიო, — მურმურებდა თამარა, — საცაა აგვრეკამს მთაში, ცარიელ-ტარიელ ღრუბლებს გამოგვაბამს, აღარც ფქვილი ჩვენთვინა, აღარც პატრონი და მამხედავი, შემონათვლების ანაბარებლა დაგვყრის, გეგმა და გეგმაო. აგრემც ჩვენი დღეები იხადოს მაგისმა მომავალმა ცოლმა, თუ როდისმე ელირსაო. ქეთო კი, იჯდა თავისთვის, ყურსაც არ უგდებდა იმათ ლაქლაქს, თავსაც არ უყადრებდა. გაეშალა ღამესავით თმა და მაჯის სიმსხოზე იწნავდა. კალთაზე ის შავ-წითელი ვარდებით დაჩითული თავშალი ეფინა, უწინდელი ქიშმირისას რომ ჰგავდა და თამარა მუჯლუგუნებით იკლებდა ქალებს, — არ ვამბობდიო? წამოდგა ქეთო, მივიდა ნათიასთან, კუთხეში რომ იდგა ხმაგაკმენდილი და სიცხიანივით აალებულ თვალებს აბრიალებდა. მოეხვია:

— ჩემი ძროხებიდან აირჩიე, რომელიც გინდა. გულს ნუ ასკდები.

გაუკვირდათ ქალებს. ლამის არ შერცხვათ წელანდელი თავიანთი ლაპარაკისა და სწორედ მაშინ შემოვიდა ალექსა. შემოიბრიქა. შემოიტანა თავისი მოფამფალე ლიპი, ხალათში რომ ვერ ეტეოდა, მიეყუდა ბაგას, განზე წაუვიდა მორებივით ფეხები. იმ თავისი მოჭუტული, ცისფერი თვალებით გამოხედა ამათ, აათვალიერ-ჩაათვალიერა სათითაოდ, აუთამაშდა გაბურდული წარბი, რაღაცაზე აიმრიზა.

— რა უყავით თაფლო? — წინ ედგა ნათია. პატარა ხელები დაემუშტა, გეგონება საცემრად იწევსო.

უგემურად გამოსცრა კბილებში:

— შენ კაი ხილი ხო არა გგონია!

— რა...

— მეტიჩრობა, რა! ნაგერალი ნიორივით უალაგო ალაგას წამოჰყოფ ხოლმე თავსა! ვერ იქნა და სხვის საქმეში ცხვირის ჩაყოფა ვერ დაგაშლევინე!

— რა უყავით თაფლო? — დუღდა გოგო.

ალექსამ კი, დაიჭექა ერთბაშად, როგორც იცოდა ხოლმე, როცა ქალებისათვის თავზარის დაცემა უნდოდა:

— შენ ხო იცი!.. ცოტა ენას დაუკელ და ხმას დაუწი! მთვარე და მთვარე სამგლე გოჭივით არ აგვილრუტუნდება ხოლმე!

— სულ ერთია, გავიგებ, როგორც ჩააბარეთ დამზადებაში!

— მამა გიცხონდა, ყურებზე ხახვი არ დამაჭრა! შენ ვინ გეკითხება! შენ ცოტა... შენ ხო იცი... სუ წვრილათ მახსომს შენი ოინები!

— რა ოინები:

— დაგავიწყდა? წყლის გამოყვანა მოგინდა და გაზეთში გამოგვაჭენე. ეს — ერთი! რადიო მოგეპრიანა და დეპუტატს ეცი. — ეს — ორი! ცხიმიანობა არ იზომებაო და განცხადებებიააფრიალე. ესეც — სამი! არ გეყოფა? არ მოგწონს ფერმაში მუშაობა, არა? დაწერე განცხადება და წადი! ვინ მამაძაღლმა, კალთები დაგაგლიჯოს! შენ ლიმიტისთვინ იწელები, საქმეს ვერ აუდიხარ და აქ ჩვენ გვედიდგულები! შენი მოსვლის გზა და საათი კი... ამიფრიალა კომკავშირული საგზური! მე ჩემი მწველავებიც თავსაყრელათა მყავდა! შემოგვეჭრა აქა! მოსვენება არ დაგვიკარგა!

უჰ! დასაბმელი გახდა კაცი! ორივე წარბი უთამაშებდა უკვე და წამოდგა ქეთო, სულ ერთიანად დავარცხნილ-გაპეწენიკებული, ფაქიზი. წამომართა მთვარესავით ავსილი გულ-მკერდი, გალალებული თეძოები, მივიდა ალექსასთან, მიუღიმილა, გამოსდო ხელი და წაიყვანა კარისაკენ. გაჰყვა ისიც, პატრონმონატრებული ხბოსავით დამჯერი.

— დედა ვაცხონე მაგისი და მამა, — თვალებითა სჭამდა ქეთოს თამარა, — ყველაზე კაი ძროხები ვერა ჰყამ! შარშანაც მთელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნალები ფერმას მაგან მოხადა, წელსაც — ეგრე!

— დაბაში წავალ! — დაილაპარაკა ნათიამ — დაიხარა ქეთოსაკენ, მხრებზე მოსხმული ლამაზი, ხისღილებიანი ჟაკეტი გადააძრო და გავარდა გარეთ...

სოსუას ბიჭის სახლი დაბის თავში იდგა. მგლოვიარესა და დათალხულს თავპირი ჩამოსტიროდა. დაესაფლავებინათ სოსუას ბიჭი უკვე, ახალგაზრდა, უწილკერძო. ზუზუნებდა ხალხი, ქელეხზე, მეზობლების ღობეებახსნილ ეზოებზე გადაჭიმულ სუფრებთან მსხდარი, სახელდახელო კარვებს შეფარებული. იდგა გოგო ჭიშკართან, საცოდავად ატუზული, მარტო, გეგონება ვინმეს დაჰკარგვიაო. სუფრის ნაპირას, სულ ბოლოში, თავისი რუსულის მასწავლებელი იჯდა — გულნარა ოსიპოვნა. იმის გვერდით კიდევ, დაბაში განთქმული ტასიკო მკერავი. მივიდა.

ჩაუწიეს და ჩასვეს. მოხვია ხელი თავისმა რუსულის მასწავლებელმა. შენც ქელეხში მოხვედი, ჩემო თვალისჩინოო? სიცოცხლე მემატება, შენზე გაზეთებში რომ ვკითხულობო. როგორ გახდი ასეთი მოწინავეო? გადაუსვა ხელი თმაზე, მხრებზე მოუთათუნა. გასაწური ჟაკეტი გაცვიაო, ასე როგორ დალბიო? ალბათ ფერმიდან მოდიხარ ამ გაგანია თავსხმაშიო.

იქვე, მოქოხილში ბრიალებდა ცეცხლი. ხმელი ფიჩხის მხიარული ტკაცა-ტკუცი მოდიოდა. სველი, დამძიმებული კვამლი თვალებს უწვავდა. გაჩაჩხულ ზედადგრებზე, თიხით გვერდებშემოლესილ თუჯის ვეება ქვაბებში იხარშებოდა ხორცი. სულ თუხთუხი გაუდიოდა. მოქაფვას ველარ ასდიოდნენ. ხვითქი ასკდებოდათ თავ-პირზე ქელეხის კაცებს.

აცეცებდა გოგო თვალებს. გულამოტრიალებული თაფლოს თავს დაეძებდა, აქვე, სადმე იქნება მიგდებულიო. ან, იქნებ, სახაშედ გაყვლიფეს კიდევაცაო? იმ დამბალ თავ-პირზე, იმ ქელეხის კაცებივით, ამასაც ოფლმა დაასხა. ციებ-ცხელებაშეყრილივით უცახცახებდა ხელ-ფეხი. კბილს კბილზე აცემინებდა და რამე რომ არ შეეტყოთ იმათ, სველ თითებს იფარებდა პირზე. ჭინჭრით დალუდუდებულივით უხურდა სახე.

— ოთხი დღეა ამათი შავების კერვაში ვარ. თვალებიდან ველარ ვიხედები. — შესჩიოდა ტასიკო მკერავი მეორე სუფრიდან გადმოხრილ ქალს, ტასიკოსაკენ რომ წამეგრძელებინა კისერი და გადაწყვეტასა ჰქონდა. — სამსახურში კი, რევიზია დამცემია. ბედი არ გინდა! არ ვიცი, როგორ იქნება ჩემი საქმე.

— ხისა და ქვის გემო აქვს ამ ფხალს. გაპარული ნივრით თუ შეანელეს. — ტუჩაბზუებული ეჩურჩულებოდა ვიღაცას საავადმყოფოს ექთანი გულიკო.

— ხაშლამას ძალა მოუვა. — უთხრა იმან, ვიღაც ქალმა, ტუჩებზე ხელაფარებულმა — ნამეტანი დიდ ცეცხლზე დუღს.

გოგომ, იმ ნისლჩამდგარი თვალებით მთელი არე-მარე გადაჩხრიკა თაფლოს ხალიანი თავის ძებნაში. ამოყარეს ხაშლამა დიდ, მრგვალ სინებზე. ოხშივარი ასდიოდა. სულ ყვითლად გაუდიოდა ლადლადი. ჩამოატარეს სუფრაზე. იქით, მეორე მხარეს, კაცებისაკენ, ობოლაანთ მიტუშა დიდხანს, საგულდაგულოდ, მონდომებით ირჩევდა ნაჭრებს. თვალები დახუჭა გოგომ. ტასიკო მკერავი კი, უგულო, აძალებდა, ერთი ნაჭერი გადაილე შენცაო. წამოაპირქვავა სუფრაზე ყველის თეფში, მიუსვ-მოუსვა თითები და გადმოულო ძვლიანი ხორცი:

— შეჭამე, გოგო, რამ გაგაკერპა, მადლია.

— საწყალი სოსუას ბიჭი, როგორ იყო აზელილი, რო გენახათ... იმის ცოდვით ქვაც დაიწოდა. — ჰყვებოდა საავადმყოფოს ექთანი, გულიკო და, თან ხორცის მსუქან ნაჭერს წიწაკის მწნილს ატანდა.

ტასიკო მკერავი ჩანთიდან ამოღებულ პაწაწინა კოვზს დასორსოლავებული პურის გულითა სწმენდდა და გულნარა ოსიპოვნას ეუბნებოდა.

— რა ვქნა, თან დამაქვს ხოლმე, დანა-ჩანგალი არ მოაქვთ და...

ესმოდა გოგოს იმათი ლაპარაკი. აციებდა. გაიხედა გვერდზე, თვალი აარიდა იმათ. ობოლაანთ მიტუშა, მთვრალი, ულვაშებზე ქონი ჩამოსდიოდა, პირზე ხელაფარებული ხითხითებდა. გაქონილი თითებით დანომრილ ფურცელზე სიასა სწერდა და ცდილობდა შეწეული ფულები სუფრაზე დაქცეული ღვინის გუბისათვის აერიდებინა. იქვე, მაგიდასთან, ფეხებში იბლანდებოდნენ მთელი დაბის ერთად თავშეყრილი ძაღლები, ხაშლამის სუნზე მოგროვილები, ნახევრად გამოხრულ ძვლებს ალესილი კბილებით ჩაფრენილები. მთვრალები კი, მთვრალები, არეული თვალებით უყურებდნენ იმ ძაღლებს და ბოყინით, მოდუნებული თითებით, პირდაპირ სუფრიდან უყრიდნენ ხორცის ნაჭრებს და წიწმატის კვლებში, მაისის გადაშლილ ვარდებში, საგულგადულოდ ნახარებ ნამყენი თუთის ძირებში, ლობიოს შარებში, თაფლოს ძვლები ეყარა...

მხრებში თავჩამძვრალი, დაპატარავებული, გულდამწვარი მირბოდა ნათია. გულმუცელი ეხრუკებოდა. ასხამდა შხაპუნა წვიმა. აღარ იყო თაფლო. ყველაზე ლამაზი, ყველაზე ჭკვიანი, ხალებიანი. ჩემო ხვავო და ბარაქავო, ჩემო ლალიან-ბრალიანოო, იმდუღრებოდა გულში. სიმწრისაგან, თავისი უმწეობისაგან, იმისაგან, რომ არაფრის, სულ არაფრის გაკეთება არ შეეძლო, ერთი ბეწოს, მარტოკას, უცახცახებდა მხრები. კარგა შორს რომ გასცდა სოსუას ბიჭის სახლს და დაბის მეორე ბოლოში გავიდა, ახალშენში, მოითქვა სული. ვიღაცის ეზოს გარეთ, ხის გრძელ სკამზე ჩამოჯდა. ნეტავი ალექსას ქელეხში ვყოფილიყავიო, ინატრა და უცებ, ზედ ყურთან წაუზმუვლა ძროხამ. ნაცნობმა ხმამ ტკივილივით დაუარა სხეულში. წამოვარდა ფეხზე. ყური მიუგდო. ჩაჰყვა სახლს ნაპირ-ნაპირ. ბულალტერ გიგლას ბარაქიან ბაღჩაში რკინის ფეხმოკეცილი მაგიდები აეკოკოლავებინათ. ირეოდა ხალხი. რუშანა, რაიკოოპერატივის საწყობის გამგე, ქელეხების ავანჩავანი, ქვის კიბის საფეხურზე იჯდა და ალექსა, ღიპიანი, იქვე არ ედგა!

წამოვიდა გოგო ფეხის წვერებზე. უკანა ეზოს მიადგა. გადაიხედა და ლამის ამოუტრიალდა გული. იქვე, ხეზე ება თაფლო. ცოცხალი, საღ-სალამათი.

— თაფლო... — ჩუმად დაუძახა შორიდან. — თაფლო...

გაიგო და აატოკა ხალიანი ბარძაყები. წინა ფეხებით მიწა მოფხოჭნა. გამოხედა და გამოიწია. დაიჭიმა წვიმაში დამბალი თოკი. დაიძაგრა. ჩუმად იდგნენ ორივენი, შორი-შორს, ერთმანეთს მიჩერებულები. დერეფნის ბოძზე, დიდი, ალესილი დანა და მოკლეტარიანი ცული იყო გარჭობილი. და იქით, ბაღჩაში, რუშანა ვიღაცას გაბრაზებული უყვიროდა. „ურო-თქო! დიდი ურო! ჯერ უნდა დავარეტიანოთ"!

წამოვიდა გოგო თავისი თაფლოსაკენ, ფეხარეული, ლასლასით. იმ მძიმე უროს, თაფლოსათვის რომ უნდა დაეკრათ, გეგონება იმას უბრაგუნებდნენ თავში, ისე მირატრატებდა. დასწვდა თოკს, ხელები უცახცახებდა და ვერა ხსნიდა. დაელბო წვიმას. გამწარებული, კბილებით ჩააფრინდა ნასკვს. მოსწია ერთხელ, მეორედ. სახეში შეასკდა ფსიტისა და შმორის სუნი. ამოაძრო ბოძში გარჭობილი დანა, თაფლოს ხორცის ასაკეპად გამზადებული, გადაჭრა თოკი და შიშისაგან დაზაფრულმა დაიჩურჩლა:

— ჩქარა, თაფლო... ჩქარა...

გადაუხვიეს უნივერმაღთან და გაუყვნენ გაღმა სოფლისაკენ. ხიდთან, ქსანს გაღმა, ჭალაში ჩაუხვია, მოკლეზე უფრო მალე მივიყვანოო და თითქოს საგულეს დაიგულა გული. მიიპარებოდნენ რიყე-რიყე, ბუჩქებს ამოფარებულები, ქურდებივით. დაბლიდან არა ჩანდა ფერმა. ალალბედზე შეუყვა დახრამულ ფერდობს. თუ სწორე ვიანდევე, ზედ ფერმასთან ავალთო და სიხარულით შეუტოკდა გული. ეჭიდებოდა ეკლიან ბუჩქებს, ხის ფესვებს, სულ გადაექლიტა ხელის გულები. დაუბუჟდა თითები. ლოყიდან სისხლი სდიოდა. კოჭამდე ეფლობოდა წვიმით გაჟივჟივებულ თიხნარში. ისე დაუმძიმდა ფეხები, გეგონება ფუთიანი გირები დაჰკიდესო. უკვე ნაპირს იყო მიტანებული, ფეხი რომ დაუცურდა და დაგორდა. სულსაც ველარ ჩაიტანდა დაბლამდე, ქეთოს ხისღილებიანი ჟაკეტით რაღაცას რომ არ წამოსდებიყო, ხის ფესვსა, თუ ძეძვის ტოტს. რომ არ შეყოვნებულიყო, ჩაეჭიდა თაფლოს კუდს, იგრძნო, როგორ წაბორძიკდა ძროხა, მთელი ტანით ათრთოლდა და წინა ფეხებით მიწაში ჩაემხო. წამოდგა დაბეგვილი, წამოაყენა თაფლოც, ხმამაღლა ტიროდა უკვე, მოთქმით. ქვითინებდა. ზედ ეკვროდა თავის თაფლოს, ზედ ეგლისებოდა. და ისიც, ჯიქანდაკაწრული, დამძიმებული, მორჩილი, მისდევდა.



შევიდა ფერმაში. შეიყვანა თაფლო. მიხურა კარი. გაუგდო მკლავის სიმსხო ურდული და იქვე ჩაჯდა. კართან, ბაგის გამოვარდნილ კოჭზე, მისავათებული. მისცვივდნენ ქალები, მიურბენინეს წყალი. მობანეს ლოყაზე მიმხმარი სისხლი. მოახვიეს ფედრას თბილი ჯუბა, უბოდიშოდ რომ ააცალეს მძინარეს, თან თაფლოსაკენ იყურებოდნენ თვალებგაგანიერებულები.

— მოვიპარე თაფლო... — სული რომ მოითქვა, ძველებურად დაიწკრიალა ნათიამ და თვითონვე გადაბჟირდა სიცილით...

და ამოდიოდა ხევში მანქანა. ერთი ზუილი და ბღუილი ჰქონდა ამტყდარი. გამწარებული ატრიალებდა და აბზრიალებდა ტალახში აცურებულ ბორბლებს. ისეთი გრიალი გაუდიოდა, გეგონება მთელი არე-მარე მოაქვს თანაო. დაფეთებული წამოვარდა გოგო, კარის ჭუჭრუტანას ეცა და მერე წელმოწყვეტილი აეტუზა გვერდით შალიკოს, მწყემსს. იმედგადაწურულმა გახედა თაფლოს. ქალები კი, ყველანი, შეთქმულებივით, უსიტყვოდ თაფლოს წინ გამწკრივებულიყვნენ. თამარა, პენსიონერი, კაბის კალთასაც კი აფარებდა თავზე, ქეთო კი, ფაქიზი, ზურგზე ეფერებოდა, მოხვედი, ჩვენო შავარდენოო?

აბრახუნებდნენ კარზე. ყვიროდნენ რაღაცას. ოსიაანთ ზაირა თავის ლოთ ქმარს ეცა, თივის გროვაზე მიძინებულს:

— ადე, კაცო, ადე! გვხოცამენ!

ისიც, ცოლზე უარესად დაფეთებული წამოვარდა. ჯერაც რომ ვერ გარკვეულიყო რა ხდებოდა, სანახევროდ გამოფხიზლებული არყისა და ძილისაგან, გავარდა საყარაულოში.

გადაეყუდა ბოლო ფანჯარაში შალიკო, ერთი მოხედა გოგოს, ჩაუკრა წირპლიანი თვალი და დაიყვირა:

— აბა, ერთი აქეთ მოდექით, ხალხოო!

გაიტყუა ყველანი იქით. ეყაყანებოდნენ, უმტკიცებდნენ რაღაცას, ილანძღებოდნენ. ის კი, მშვიდად, ხმამაღლა კითხულობდა:

— ძროხა გინდათ? წაიყვათ, დალოცვილებო, ვინ მამაძაღლი...

გაიჭრიალა იქით ფერმის კარმა. გალასლასდა გარეთ ის უცხო ძროხა, მუშტისოდენა, დაინახა თავისკენ წამოსული ის იმოდენა ხალხი და საცოდავად შეჰბღავლა. ისინი, გაგიჟებულები, — მასხარად ასაგდები თავები ზედ გაბიათო. რა, რა პირით იგინებოდნენ! ეცნენ ვინ იცის, როდის ჩამობმულ, უიმისოდაც რყევაშეპარულ კარს და კვნესა და ჭრიალი აუყენეს. ქალები, იმ თავიანთი ულონო ზურგებით შეუდგნენ შიგნიდან. ცოტა სიმაგრე მისცეს. გაგიჟდა რუშანა, შეათამაშა მეტრიანი მხრები, დაეტაკა კარს და ის იყო, თოფიც გავარდა. იმოდენა ხმით დაიგრგვინა, რაღა მეხის ჩამოვარდნა და რაღა ისა!

— მართლა არავინ შემოგაკვდეს, შე სამიწევ! — გული გაუსკდა ოსიაანთ ზაირას, — ამ შუა გზაზე არ გამაუბედუროო!

— სად გვეჭრებით აქა, მე თქვენი მკვდარი და ცოცხალი!... — ისევ დაიგრგვინა ფედრას თოფის ლულამ და შიგნით, ფერმაში, ნატისუსალი დატრიალდა.

— ლოთია! დაგხოცამთ ეს ღმერთძაღლი! გაეცალენით, კაცოო! — ყვიროდა შალიკო.

იმ ატეხილ აყალ-მაყალზე სოფლიდან ჩამოცვენილმა გოგობიჭებმა, აქამდე გასუსულები რომ იდგნენ, უცებ ისეთი ზარი და წიოკი დასცეს, ყარაულის თოფის ბათქი-ბუთქით თავმოწონებულებმა, ყურთასმენა აღარ იყო:

— დასცხე, ფედრა ძიავ, დასც-ხეე! — ლამის შუაზე გაფხრეწნილიყო ერთი ციდა გოგო, ზედვე ეტყობოდა, რა ახტაჯანაც იყო.

— სოფელი მოდის, სოფე-ლიი! არ შეგეშინ-დეეთ! — ხმადაბოხებული ბღაოდა აყლარწული ბიჭი, საულვაშეჩაშავებული.

— დე-დიი! — კიოდა კუნჭიაანთ ლიზიკოს გაწეწილი გოგო. — ზარიბეგა პაპა მოდის მარგილი-თაა!

და ჩამოდიოდა სერზე ხალხი. ვინ-თოხით, ვინ-ბარით, ვინ კეტით. მძიმე, მყარ ნაბიჯებქვეშ იზილებოდა ტალახი, ცვიოდა ქვები, ირღვეოდა ნაშალი მიწა და იმათ, თავგზააბნეულებმა დაქოქეს მანქანა, აცვივდნენ ძარაზე და ერთმა, ყველაზე ბოლოში რომ მოექცა, კოცნა არ გამოუგზავნა ფანჯარაზე აკრულ ქალებს! ურცხვმა... სოფლიდან ჩამოცვენილი გოგო-ბიჭები კი, იმ თავიანთ სოფლელების სიახლოვით გულმიცემულები ხევამდე მისდევდნენ მანქანას. თან ქვებსა და მიწის გორახებს ესროდნენ და ერთი ამბით მისწიოდნენ და მიჰკიჟინებდნენ...

ეროვნული ბიბლიოთეკა





# პატარა ნაკვეთის ეფექტი

იყო ქვა, ღორღი, ეკალი, ძეძვი, მოუსავლიანი ფართობები... დღეს კი აქ თვალს არ ენახვება მწვანედ მობიბინე 130 ჰექტარი. ყველა ეზოს ონკანში მოჩუხჩუხებს წყალი, მოჩანს კოპწია, აჟურული აივნებით მოხატული ოდა-სახლები: ზოგან ფიცრული, ზოგან ბლოკისა, ზოგან საგულდაგულოდ შეუმინავთ, რა საამო სანახავია ისინი წელიწადის ყოველ დროს! ზოგან თუნუქის ლუმელის მილი ამოჩრილა, ზოგან ბუხრის მილი. ყველა სახლი ლამაზი და მიმზიდველია, რადგან მუშაკაცის გამჭრე ხელით არის ნაგები. ზოგის ეზოს ვიწრო ბილიკის ორივე მხარეს ყვავილების გაზონი გასდევს ზოლად, თავზე ვაზის ტევრი თავსამკაულივით დაჰყურებს და წნული ღობეებით გარშემოვლებული ნაკვეთი უფრო ლამაზია. ეზოებში ბოსტნეულის სიუხვეა, ეს უკვე მისი პატრონის დიდ შრომაზე მეტყველებს.

ამას წინათ რუსთაველ მეტალურგთა მებაღეობა-მებოსტნეობის ამხანაგობის წევრებს გაჩიანში ეწვია და ესაუბრა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ამხ. ე. ა. შევარდნაძე. რესპუბლიკის ხელმძღვანელმა შემოიარა ეს წალკოტად ქცეული ფართობები, ესაუბრა მეტალურგებს, მათი ჭირი და ლხინი გულთან ახლოს მიიტანა.

ქარხნის დირექციაში სახელდახელოდ დასახეს ღონისძიებები: უახლოეს ხანში მოხდეს მთელი ტერიტორიის ელექტროფიცირება და სარწყავი ტექნიკური წყალი გაზავდეს მტკვრის წყლით, რომელიც მოჭარბებულად შეიცავს მარილებს და მცენარეს ზრდის მეტ საშუალებას მისცემს. ამხანაგობას წლების მანძილზე უნარიანად ხელმძღვანელობდნენ ამირან ფანცულაია, ვარდიშელ კობერიძე. დღეს კი მათი ადგილი გამოცდილმა და ენერგიულმა აგრონომმა დავით ლოლაძემ დაიკავა. ამხანაგობის მესვეურები, ქარხნის ხელმძღვანელი მუშაკები, პირადად ქარხნის დირექტორი ოთარ სულაძე ყურადღებასა და მზრუნველობას არ აკლებენ ამხანაგობის წევრებს, ყოველ ღონეს ხმარობენ, რათა საბოსტნე ნაკვეთების ათვისების პრინციპი რომელიმე მათგანმა თვითნებურად არ დაარღვიოს. ყოვლად დაუშვებელია 600 კვადრატულ მეტრ ფართობზე, რომელიც ამხანაგობის წევრს კანონით ეკუთვნის, მარტო ერთი რომელიმე სახეობის ხილი ან ბოსტნეული ახაროს, — ვაი თუ მავანმადამავანმა იგი ბოროტი ზრახვისთვის გამოიყენოს.

გამოანგარიშებულია, რომ ერთ კვადრატულ მეტრ სავარგულზე, მეცხოველეობის პროდუქტების გარდა, შესაძლებელია ერთ კილოგრამამდე ხილ-ბოსტნეულის, კარტოფილის და მარცვლეულის მიღება. ე. ი. კოლექტიური მებაღეობის ყოველ წევრზე შეიძლება საშუალოდ ნახევარ ტონაზე მეტი პროდუქტის მიღება. წესდებაში განმარტებულია, რომ ყოველი წევრი ვალდებულია გაპიროვნებულ ნაკვეთზე აწარმოოს მემცენარეობის პროდუქტები, ფრინველი, კურდღლის ხორცი, თაფლი და ზოგიერთი სხვა პროდუქტი, რაც მისი ოჯახის პირველად მოთხოვნილებას დააკმაყოფილებს. არ შეიძლება ჭარბი პროდუქტის შექმნა, მაგალითად, ღვინისა, რაც ზოგიერთისთვის შეიძლება ლოთობის ხელშემწყობად გადაიქცეს.

მეტალურგთა მებაღეობა-მებოსტნეობის კოლექტიური ამხანაგობის საქმიანობა რომ უფრო თვალნათლივ წარმოვიდგინოთ, მოვიშველიებთ ზოგიერთ ციფრს. ამხანაგობამ შარშან მოიწია 240 ტონა ხილი, 370 ტონა ყურძენი, 400 ტონა ბოსტნეულ-ბალჩეული

ეროვნული ბიბლიოთეკა

ანუ ამხანაგობის ერთ წევრზე 560 კილოგრამი მემცენარეობის პროდუქტები. ამის გარდა, მიიღეს 6,5 ტონა ხორცი, 200 კგ თაფლი და 8 ტონა სხვადასხვა პროდუქტი. აღნიშნულმა ამხანაგობამ უკვე გადააჭარბა საშუალო მისაღწევი ეტალონის დონეს — ერთ კვადრატულ მეტრზე აწარმოა კილოგრამზე მეტი პროდუქტი. ახლო მომავალში ვარაუდობენ ერთ ოჯახზე მიიღონ თითო ტონა პროდუქტი.

რესპუბლიკაში მთელი ამ საქმის გეგმაზომიერი მართვისათვის შეიქმნა საკოორდინაციო საბჭო „აგროკოოპი". სოფლის მეურნეობის სამინისტრომ და სასოფლო რაიონული საბჭოების აღმასკომებმა საამისოდ გამოყვეს 15 ათასი ჰექტარი ფართობი, რომელიც სრული მოსავლიანობისას მოგვცემს 150 ათას ტონამდე პროდუქტს. თუ საკარმიდამო ნაკვეთების მიხედვით გადავიანგარიშებთ, ეს შეადგენს 25-30 ათას ტონა ბოსტნეულ-ბაღჩეულს, 20 ათას ტონამდე კარტოფილს, 14-15 ათას ტონამდე მარცვლეულს, 46-50 ათას ტონა ხილს, ამდენივე ყურძენს და სხვა. საწარმოების, დაწესებულებების, ორგანიზაციების ხელმძღვანელები ვალდებულნი არიან ზრუნვა არ მოაკლონ თავიანთი კოლექტივების ამხანაგობებს, დაეხმარონ მათ სესხით, გაუყვანონ გზები, სარწყავი არხები, დაეხმარონ საბაღე სახლების მშენებლობაში. გამოინახა კრედიტების, სამშენებლო მასალების, სასოფლო-სამეურნეო იარაღების, სარგავი სათესლე მასალების, სასუქების და სხვათა გამოყოფის გზები. „აგროკოოპთან" შექმნილია საპროექტო კანტორა „საქაგროკოოპპროექტი", რომელიც დიდ მუშაობას ეწევა საბაღე სახლების დაპროექტებაში, გაჰყავს გზები, ხოლო „საქაგროკოოპმშენს" აქვს გარკვეული რაოდენობის ტექნიკა ნიადაგის პლანტაჟისათვის, გზებისა და ხიდების ასაშენებლად. მისი საშენი მასალების საწარმო უშვებს საბაღე სახლების დეტალებს, სამშენებლო ბლოკს, მავთულბადეს, იგი მალე მძლავრ საწარმოდ გადაიქცევა.

გულისტკივილით უნდა ითქვას, რომ გამოყოფილი 8.700 ჰექტარიდან მხოლოდ 2500 ჰექტარზე მოქმედებს 300 ახალი ამხანაგობა. რას ფიქრობს ის 90 000-მდე ოჯახი, რომელიც ამ ტერიტორიაზე უნდა დაფუძნებულიყო ან ის პირები, რომელთა წლობით დაკავებული ნაკვეთები უპატრონოდ არის მიტოვებული და გაველანებული? რატომ ივიწყებენ მიწათსარგებლობის ერთ-ერთ აუცილებელ პირობას — მიწის მფლობელი, რომელიც ორი წლის მანძილზე ვერ აითვისებს ნაკვეთს, კარგავს მასზე იურიდიულ უფლებას.

მეტალურგთა სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მათ ამ საქმეს წარმატებით გაართვეს თავი, მათი ბაღ-ვენახები სამაგალითოა. „პატარა ნაკვეთის ეფექტი", როგორც მას ეწოდა, გარდა ეკონომიკური მხარისა, ადამიანს მიწის სიყვარულსაც უნერგავს, იგი ახალგაზრდობის ინტელექტუალური და ფიზიკური სრულყოფის ერთ-ერთი აუცილებელი პირობაცაა.

ნანული ბუკია

ვასილ გვეტაძე

## ჩემი მიწა დამილოცე

შეილვიძა შექოჩრილმა ტყემ შრიალით,
ქარი ფერთხავს მთელი ზამთრის ნათოვ ფარდაგს.
ისევ ჩადგა საფუსფუსოდ ხეში წყალი
და მზე მთებში ისევ ისე ამოვარდა.

თებერვალი ფრენა-ფრენით მოდის, მოდის
და წყლის ჭავლი ყინვის ბზარში იფანტება...
ჩვენ ვიმღერებთ დღეს დილიდან საღამომდის,
ოღონდ ბანი გვითხრან მთებმა.

მთაო, მტრისთვის დაირაზე,
დროშებს გაფენთ ნაომარს და ნაიარალს.
თენდება და ერთი გზაა დარიალზე,
სანდო ხიდით ძმამ ძმისკენ რომ გაიარა.

ბამბის ფთილებს ქულა-ქულა მთები ართავს,
ხეობაში კვლავ არაგვის ხმაურია,
და ხელგაშლით დგას ბელადი მცხეთის კართან,
სადაც ადრე პუშკინს ცხენით გაუვლია.

ცინცხალ ცისკარს ვიდრე ჩრდილი შემურავდეს,
ლაჟვარდს ვფერავთ და ღამეებს ვეომებით.
გადახედე: ზაჰესიდან ენგურამდე
სინათლეში ჩახჩახებენ ხეობები.

თვალწინაა წარსულიც და აწინდელიც,
დღეის დღე კი საგანგებოდ გალამაზდა...
შეთვალულა ივრისპირზე რქაწითელი,
შეფერილა საფერავი ალაზანთან.

თითქოს ვიღაც ოქროს სანთლებს ანთებს ირგვლივ,
ჩეროები საჩრდილობელ ფარჩას შლიან.
მიწა ოფლით მორწყული და დათესილი
ყვავილობს და საქართველო გარჯაშია.

ცა შვიდფერა ცისარტყელას ვარაყია,
ჩვენ ამ ვარაყს თვალისჩინად ვიფერებდით.
ქართლის ბაღებს ნაკვერცხლები გადაყრია
და გაპნკარულ ალვებშია იმერეთი.

მეც შენსავით მიხარია, შენ ხომ ხარობ,
თვალი არჩევს იაგუნდის ყარამფილებს.
ჩემი მიწა დამილოცე, მეგობარო,
გულზე ქართლის ატმის ტოტი დამაფინე.

ვიღუღუნოთ, რასაც ადრე ვღუღუნებდით,
გახსენება, განა, მართლა დაგვალონებს?
გერიტის ხმა და „კაფე-თესე" გუგულების,
ეზოებში კიდევ დიდხანს გამაგონე.

სხვა სათქმელი ჩვენზე უკეთ ძველებს უთქვამთ,
გულში ტკბილი „ოროველა" ახლაც ტირის.
პურის მკა და განზე ცვენა ხელეურთა,
უცვლელია ფიროსმანის ნახატივით.

მაშ, დავლოცოთ გახურებულ მკაში კალო,
ოფლს რომ ღვრი და ცივი წყალი გენატრება...
გადმოშალონ დროშები და აშრიალონ,
თებერვალში დანთებულმა კელაპტრებმა.

ეროვნული ბიბლიოთეკა



ეკ. კეკელიძე, კორნელი კეკელიძე და ქ. ცხადაძე

# შრომაში გავიდა წლები...

40 წლის წინათ, ჯერ კიდევ სტუდენტი მოვიდა ეკატერინე კეკელიძე უნივერსიტეტის ქართული ლიტერატურის ისტორიის კაბინეტში სამუშაოდ (ამჟამად ეს კაბინეტი აკადემიკოს კორნელი კეკელიძის სახელობისაა), ფილოლოგიის ფაკულტეტის ბიბლიოთეკაც მაშინ ამ კაბინეტში იყო. წიგნადი ფონდი ძალიან მცირე ჰქონდათ, — რაღაც ასიოდე წიგნი.

გავიდა დრო... ქალბატონმა კატომ თავი მოუყარა კაბინეტის დამხმარე ფონდს,ააწყო კატალოგები, კარტოთეკები... სამუშაოს დამთავრების შემდეგ გამოუყვებოდა ხოლმე რუსთაველის პროსპექტს, ბუკინისტებთან, წიგნების მაღაზიებში შეივლიდა, ეცნობოდა როგორც ახალ ლიტერატურას, ისე ძველისძველ ძვირფას გამოცემებს... და, თანდათან ივსებოდა ბიბლიოთეკის ფონდი.

ახლა ბიბლიოთეკის კატალოგები 10 ათასზე მეტ წიგნს და მრავალი დასახელების პერიოდულ გამოცემას ითვლის. მათ შორის ბევრია ისეთებიც, რომლებიც დიდი ხანია ბიბლიოგრაფიულ იშვიათობად არის ქცეული.

აგერ 1862 წლის „ცისკრის" ერთი ნომერი, რომელიც აკაკი წერეთელს წაუკითხავს და გაუსწორებია. აქ არის 1905 წელს ექვთიმე თაყაიშვილის მიერ რედაქტირებული მარიამისეული „ქართლის ცხოვრება", ათასგვარი შენიშვნებით, ხაზგასმებითა და კომენტარებით აჭრელებული. როგორც სპეციალისტები ამბობენ, ეს შენიშვნები ივანე ჯავახიშვილს უნდა ეკუთვნოდეს.

აქვეა მ. ბროსეს და დ. ჩუბინაშვილის „ქართლის ცხოვრება", თედო ჟორდანიას „ქრონიკები", ძვირფასი ლექსიკოლოგიური საცნობარო...

ბიბლიოთეკაში დაცულია XIX საუკუნისა და XX საუკუნის დასაწყისის ქართული პერიოდული გამოცემები: „ივერია", „ცისკარი", „განათლება", „მოამბე", „ნიშადური" და მრავალი სხვა.

ყველას აქვს თავისი სამყარო, სავსე საკუთარი მიზნებითა და ამოცანებით, ტკივილითა და სიხარულით... ეკატერინე კეკელიძის ცხოვრება-საქმიანობა ორად იტოტება: ბიბლიოთეკა-ბიბლიოგრაფიული საქმიანობა და სტუდენტებთან მუშაობა. ეს უკანასკნელნი უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტის ბიბლიოთეკაში სწავლობენ ქართული ლიტერატურის ისტორიას, ეუფლებიან ეროვნულ მარგალიტებს.

მრავალფეროვანია ბიბლიოთეკის საქმიანობა... მომავალი ფილოლოგების გარდა აქ მოდიან მომავალი ისტორიკოსები, დასავლეთ ევროპის ენებისა და ლიტერატურის ფაკულტეტის სტუდენტები, ასპირანტები, პროფესორ-მასწავლებლები. ქალბატონმა კატომ იცის ვის რა დასჭირდება, ვინ რაზე მუშაობს, სად და როდის გამოვიდა და დაიბეჭდა ესა თუ ის წიგნი, სტატია. მრავალმა სტუდენტმა და ასპირანტმა აქ დაამუშავა თავისი სადიპლომო და სადისერტაციო შრომა.

ბიბლიოთეკაში მოღვაწეობამ ეკატერინე კეკელიძე დააახლოვა გამოჩენილ მეცნიერებთან — კორნელი კეკელიძესთან, ალექსანდრე ბარამიძესთან, გიორგი ჯიბლაძესთან, აკაკი შანიძესთან, ბესარიონ ჟღენტთან, პროკლე კეკელიძესთან, ისიდორე დოლიძესთან და სხვებთან.

ყოველი ადამიანის ცხოვრებაში არის დაუვიწყარი წლები. ეკატერინე კეკელიძის მეხსიერებიდან არასოდეს წაიშლება ის მეგობრული ურთიერთობა, რომელიც მას სასიქადულო მამულიშვილთან, აკადემიკოს კორნელი კეკელიძესთან აკავშირებდა. ქალბატონ კატოს არქივში სათუთად ინახება მრავალი წერილი, ფოტოსურათი და ნაშრომი აკადემიკოს კორნელი კეკელიძის გულთბილი წარწერებით.

ფიქრსა, ძიებასა და შრომაში გავიდა წლები... 1967 წლის ნოემბერში უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში ხანგრძლივი და უმწიკვლო მუშაობისათვის ეკატერინე კეკელიძეს რესპუბლიკის დამსახურებული ბიბლიოთეკარის წოდება მიანიჭეს. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის 50-წლისთავის აღსანიშნავ საიუბილეო დღეებში, საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სიგელით დააჯილდოვეს; დაჯილდოებულია აგრეთვე, მედლით „სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებული".

40 წელიწადია მადლიანი ღიმილით, დინჯად ამოდის უნივერსიტეტის კიბეზე ეკატერინე კეკელიძე.

ნუნუ ჩიხრაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა



# ამონათება

როდესაც ავტობუსი შავნაბადის კალთებიდან დაბლა დაეშვა, კუთხეში მიყუჟულმა ფანჯრისაკენ ვიბრუნე პირი. წელანდელ ნანახსა და განცდილს გადავავლე გონების თვალი, ყური მივუგდე. ავტობუსში ახალგაზრდათა ჟრიამული იდგა. გადაძახილი და ლაღი საუბარი. წელან...

ჰო, წელან ბორის ძნელაძის სახელობის კომკავშირული ქალაქის სახვითი ხელოვნების ცენტრში, დარბაზ „ფიროსმანში" ვეზიარე იმ გზის საოცარ დასაწყისს, რომელიც ბევრს პირდებოდა ქართულ ხელოვნებას, ფერწერას. პირდებოდა ფრთებს, რომელიც მხოლოდ მოზიდული დარჩა, ასაფრენად მოზიდული. 17 გაზაფხული იცოცხლა მხოლოდ, და ამ წლების მიწურულს იმდენი დაგვიტოვა, ზოგს რომ მთელი სიცოცხლის მანძილზე ეყოფა სათქმელად: „ვიყავ, ვიცხოვრე, შევქმენ"...

როგორი იყო იგი, თბილისის ი. ნიკოლაძის სახელობის სამხატვრო სასწავლებლის მეორე კურსის მოსწავლე, დათო კრანაშვილი, შემდეგში რომ ზოგიერთებმა „ვარსკვლავ ბიჭუნა" შეარქვეს?

როგორი იყო იგი, ვისაც შემდეგში ადამიანებმა გულწრფელად უთხრეს: „დიდია სევდა!.. მაგრამ ტალანტი არ კვდება. დათო აგრძელებს სიცოცხლეს — იგი მომავალში კიდევ უფრო გაიზრდება... სამწუხაროდ, სევდა კი არ განელდება". (ელგუჯა ამაშუკელი)... „ჩემო დათუნა! გაუმარჯოს შენს უკვდავებას ქართულ ხელოვნებაში!" (გურამ ფანჯიკიძე). „სახეებით აზროვნება, ფერის გრძნობა! რამდენი დაუპადლებია შემოქმედს ამ საოცრად მგრძნობიარე ბიჭისთვის!" (თემო გოცაძე). „ძიება! აღმოჩენა! ხილვა!" (მორის ფოცხიშვილი). და კიდევ მრავალი, მისი ტოლ-სწორნი, მისი აღმზრდელნი, მისგან უცნობი თაყვანისმცემელნი, ხელოვნების სიყვარულით გულგამთბარნი, მისი გამოფენით აღფრთოვანებულნი, მისი ადრე წასვლით გულდაწყვეტილნი.

და ისევ მწერლის, გურამ ფანჯიკიძის სიტყვა გამოფენის გახსნასთან დაკავშირებით თქმული: „...ვარ უბედური კაცი, რადგან ეს ბავშვი აღარ არის, მაგრამ ვარ ბედნიერი, რადგან დარჩა ეს ამოდენა გამოსხივება მისი ტალანტისა და ნიჭისა"...

ამ გამოსხივებამ გამათბო სწორედ წელან, გამათბო კი არა, გამაოგნა, შავნაბადას კალთებზე განფენილ კომკავშირის ულამაზეს ქალაქში, საგამოფენო დარბაზ „ფიროსმანის" მყუდრო, საზეიმო სივრცეში, „ჩვენ ვეძებთ ტალანტებს და არასოდეს ვკარგავთ მათ!" — თავისუფლად შეუძლია თქვას საქართველოს ახალგაზრდობამ, ყველამ, ვინაც ასეთის გემოვნებით, საზეიმო გემოვნებითა და ამაღლებულობით მოაწყო დათო კრანაშვილის ნამუშევართა ექსპოზიცია.

როგორი იყო იგი, ადრე წასული ბიჭი, უკვდავებისთვის რომ დასახა საყოველთაო აღტაცებამ?

ხატავდა. წერდა. საიდუმლოდ ინახავდა დღიურებს, ჩანაწერებს, ოცნებობდა საკუთარ კარგ სახელოსნოზე, უყვარდა დედა და ახლობლები, იცოდა მეგობრობა, გატანა. უყვარდა თბილისი, მამულ-დედულეთი, კახეთი და სამეგრელო. უყვარდა მთელი საქართველო და... უყვარდა პირველი სიყვარული. და მთელი საგამოფენო დარბაზიც სავსეა ამ უკიდეგანო სიყვარულით, დაუოკებელი ჭაბუკური ლტოლვით სრულყოფისაკენ, სევდით, სიხარულით, ტკივილით, — მიზეზიანით თუ უმიზეზოთი. ფანქარი, აკვარელი, ტილო, ნახშირი, ქაღალდი, კალამი, სანგინა, კოლაჟი; მონაცვლეობა საგანთა, ფერთა, განწყობილებათა. „ცხოვრების წრე", „ავდარი დასავლეთში", „ევას შექმნა", „ნისლიანი დღე", „ბებიას პორტრეტი", „კაცი ძაღლით", „სანადიროდ", „გალაკტიონი", „დირიჟორი", „სურვილი", „ალაზნის ველი", „თელავი", ნატურმორტები, — დეკორატული მოტივები, პორტრეტები, პეიზაჟები, კომპოზიციები და სხვანი მრავალნი, რომელნიც დათოს თვალით დანახულ სამყაროს გვაზიარებენ. და ამ მრავალს აერთიანებს, ერთ რკალში უყრის თავს, ერთ ამოსავალ წერტილს უქმნის — აზრი, აზროვნება. დათო კრანაშვილი არა მარტო მომავლის მხატვარია, — იგი მოაზროვნეა! ჩაფიქრებულიც, აღფრთოვანებულიც, გულდამძიმებულიც, ლაღად გაღიმებულიც. დათო კრანაშვილი პოეტია და, არა მხოლოდ იმიტომ, რომ იგი ლექსებს წერდა! ლექსიც და ფერიც მისთვის საშუალებაა გამოავლინოს სულიშემოქმედი, რომელმაც მძლავრი მარჯვენა მის მხარზე, მოზარდის სუსტ მხარზე ჩამოასვენა. აკი ვერ გაუძლო კიდეც! წავიდა ადრე, ძალიან ადრე.

ახლა მისი ლექსები მიფენია წინ, იმ გვირილებივით, ასეთი სიყვარულით რომ ხატავდა ნატურ-მორტებში! მისი უბის წიგნაკიც მომიტანეს, სადაც საყვარელ პოეტთა ლექსები ჩაუწერია, მეგობართა მისამართების გვერდიგვერდ. მაგრამ, მთავარი მისი ლექსებია, რომელთა ნაწილი გაზეთმა „ახალგაზრდა კომუნისტმა" გამოაქვეყნა, მისივ ნამუშევრების გვერდით მადლობა ამისათვის, ახალგაზრდობის საყვარელ გაზეთს!

„ჩემგან 16 წლის
განვლილ გზას რომ
თვალი გადავავლე,
კინაღამ ვიტირე"-ო

ამბობს ერთ ლექსში იგი. ძნელია. გულდასაწყვეტია. ცრემლები დედას დაუტოვა, ჩვენ კი-ის ციაგი, გარიჟრაჟული ამონათება, უკვდავებას რომ სჩვევია გზის დასაწყისში.

ნაზი კილასონია.



„ბეთჰოვენი"

„გოგონას პორტრეტი"





„ნისლიანი დღე"



„ნატურმორტი"

ეროვნული
ბიბლიოთეკა



„წვიმიანი დღე“



„ფანტაზია“



„მათხოვარი“



„სასიმინდე“



„დაგადეგა“



„ადამიანი და სამყარო“



„ცხოვრების წრე“

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნელი გაბრიჩიძე

ხმა ღვთისა და ხმა ერისა...

# გადმონაშთები ახალი ნიღბით

ჩვენ ხშირად ვლაპარაკობთ მავნე ჩვეულებებზე, რომელთა აღმოფხვრა არც ისე ადვილია. მაგრამ არც ის უნდა დავივიწყოთ, რომ ზოგჯერ თვითონაც არ ვუფიქრდებით, ისე ვუწყობთ ხელს ახალი, არაჯანსაღი ტრადიციების შექმნას. მე მხოლოდ რამდენიმე მაგალითზე შევჩერდები.

ყველამ იცის, რაოდენ სასიხარულოა, როდესაც შვილი სკოლას ამთავრებს. მაგრამ სიხარულის გამოხატვის დღევანდელი ფორმა სრულიად მიუღებლად მიმაჩნია. იწყება საბანკეტო სამზადისი: გროვდება ფული (არა ნაკლები 50 მანეთისა თითო მოსწავლის ოჯახიდან). იწყება გადამყიდველებში სირბილი ყველაზე ძვირფასი ტანსაცმლისა და ფეხსაცმლის შესაძენად.

სად არის სადღესასწაულო კარნავალები, რაც სულსა და გულს უნდა დააჩნდეს; სად არის საკუთარი ხელით შეკერილი და მორთულ-მოქარგული სამოსელი?! მერედა, ყველა ოჯახს ხელეწიფება ასეთი მოულოდნელი ხარჯის გაღება?!

ფეხის ხმას აყოლილი ახალგაზრდობა ჩვენს თვალწინ ეშვება მეშჩანობის მორევში და ჩვენც, რაკი წინ გადადგომის ძალა არ შეგვწევს, ხელს ვუწყობთ. განა ასეთი უძლურები ვართ?! არ შეგვიძლია გამოსაშვები საღამოები რაღაც ლამაზი, მასშტაბური, მხატვრულად გააზრებული კომპოზიციით დავაგვირგვინოთ? იტყვიან, ხომ იცით, არ ესწრება, გამოცდები იწყება, თვითშემოქმედებისთვის ვიღას ცხელაო! მაშინ წლის დასაწყისიდანვე შევუდგეთ მზადებას. კოლექტიურად (ასეც ხომ შეიძლება!) დავწეროთ სცენარი, მოვიფიქროთ, რჩევა ვკითხოთ რომელიმე რეჟისორს, მნერალს, ვინ იტყვის უარს დახმარებაზე? სულაც უმცროს კლასელთა შემოქმედებითი უნარი გამოვიყენოთ...

ასეთი ხანგრძლივი მზადება იმთავითვე სათანადო განწყობას შექმნის, შეიძლება სწავლის ხარისხზეც კი დადებითად იმოქმედოს.

ვფიქრობ, პომპეზურობა ერთგვარი სენია, რომელსაც ბრძოლა უნდა გამოეცხადოს ყველგან და ყველაფერში. დღესდღეობით, იშვიათად თუ ვინმე დაპატიჟებს ახლობლებს ჭიქა ჩაიზე, იშვიათად თუ გაიგონებ ვინმესგან — გუშინ ხინკალი მოვხარშეთ, მთელი კურსი ჩემთან იყო, ან თათარა მოვადუღეთო. თუ სუფრაზე ჩიტის რძის გარდა რა კერძიც კი არსებობს ყველაფერი არ მოგვაქვს, თავს უხერხულად ვგრძნობთ, საბოდიშო სიტყვა არ გველევა.

აღარ გვაკმაყოფილებს საკუთარი კულინარიული ხელოვნება. ვიღაც კერძო პირებს ვამზადებინებთ ტორტს (რომელიც 40-50 მან. ღირს) და იმით ვიწონებთ თავს. თითქოს, თუ ხუთსართულიანი ტორტის გამოცხობა არ შეგიძლია, ნაკლებად ეყვარები მეგობრებსა და ახლობლებს!

სხვათაშორის, ასეთი მავნე ტრადიცია სწორედ ქალთა საერთაშორისო დღეს რვა მარტს უფრო იჩენს ხოლმე თავს: ეწყობა სარაიონო მასშტაბის ზეიმები, სადაც ერთ-ერთ „ძირეულ ნომრად“ მეოჯახეთა შეჯიბრი ითვლება. დგას „შამპანურისა“ და „შუშხუნას“ ზღვა, საგანგებო ჟიური „ამოწმებს“ წარმოდგენილი „პროდუქციის“ ხარისხს, მორთულობას და... გემოს... ერთი სიტყვით, საქმე გროტესკამდე მიდის, და იმას ვერავინ ამჩნევს, რომ ნამცხვართა უმრავლესობა კი იმ ახალი ტიპის საქმოსნების დამზადებულია, საკუთარ სახლებში რომ გაუხსნიათ საკონდიტრო საამქროები.

მაღაზიაში ნაყიდი ტორტი მოდაში აღარ არის. ამაში ვერავის გავამტყუნებ, გარდა ჩვენი საკონდიტრო წარმოების მესვეურებისა, რადგან მისი ხარისხი მართლაც ბევრად ჩამოუვარდება შინაურისას და არც მრავალფეროვნებით გამოირჩევა.

ეს ერთი მტკივნეული საკითხია და მოგვარებას საჭიროებს: მაგრამ რომელმა დიასახლისმა არ იცის რაიმეს გამოცხობა, ვთქვათ უბრალო „ბლინის“ მაინც, ჰოდა, ბლინი მივართვათ სტუმარს!

იმ სარვამარტო „დემონსტრაციებსაც“, ჩემი აზრით, უნდა გადავხედოთ.

გიხმობენ, პოეზიის საღამო გვაქვს, თუ შეიძლება გვეწვიეთო. მიდიხარ და „კაფეს სტილით“ გაწყობილი პურმარილია. არის ბოთლებისა და დანაჩანგლის წკრიალი, გადაძახილ-გადმოძახილი, ამ სუფრიდან ეს მოგართვეს, იმ სუფრიდან-ისაო. პოეზიისთვის კი არავის სცხელა. დადექი და იკითხე ლექსები, თუ ძალიან გინდა, მაგრამ ხომ უნდა მიხვდე, რომ ეს მხოლოდ საბაბი იყო და მეტი არაფერი...

უმადურობაში ნურავინ ჩამომართმევს, მაგრამ იმ სარვამარტო ოფიციალური ზეიმებისა არ იყოს, ჩვენ ჯერ კიდევ გვაკლია ზომიერების გრძნობა.

ჩადიხარ ამა თუ იმ რაიონში და იწყება „თანგადაყოლა“. სიტყვა ბანკეტი აქ კარგავს თავის მნიშვნელობას და რაღაც გაუგებარ ფორმად იქცევა. ვთქვათ, სხვა რესპუბლიკიდან და ქალაქებიდან ჩამოსული სტუმრები გვეწვივნენ. არის თუ არა სავალდებულო საგანგებოდ „ფეხზე დამდგარ“ რესტორნებში დილიდანვე უმაგალითო პურ-მარილი გაიწყოს? შესვენებას ვერ ასწრებენ და... „სადილის დრო დგება, დღის ბოლოს კი, ნუღარ იკითხავთ, მთელმა რაიონმა იცის „ახლა სად არიან...“ ცოდვა გამხელილი სჯობსო, ცოტა შემთხვევა როდია, რომ სწორედ იმ ღონისძიებაზე, რომლის გამოც ეს ადამიანები შორეულ გზას დაადგნენ, ბევრი მათგანი საკმაოდ შეზარხოშებული გამოცხადდება ხოლმე (მოგეხსენებათ ქართული ღვინის ძალა) და თავის გამოსვლას ან მიაფუჩეჩებს, ან, პირიქით, ველარ მოზომავს და ერთმა ღმერთმა იცის, რას ამბობს...

ისე ხომ არ გამოდის, დიდ ქელეხებსა და ქორწილებს ბრძოლას ვუცხადებთ, მაგრამ თავად ღონე არ შეგვწევს, მაგალითი ვუჩვენოთ ხალხს ზომიერებისა და, თუ გნებავთ, მომჭირნეობისაც...

რა დასამალია, ან კი ვინ არ იცის რომ ჩვენი ახლადშემოღებული სახალხო დღესასწაულებიც ხალხმრავალი და ხორაგმრავალი ბანკეტებით ბოლოვდება და, ცხადია, არც მაშინ გახლავთ გამორიცხული ვინმე ნრ[illegible]ული მთვრალისაგან აყალ-მაყალის ატეხვა ან მანქანის საჭესთან მიმჯდარი ნაბახუსევი სტუმრის თუ მასპინძლის ავარიაში მოყოლა.

ოფიციალურ ზეიმებზეც შეიძლება თავდაჭერილად და მოზომილად გავწიოთ ხარჯი. უფრო სწორედ, ასეთ ღონისძიებებზე უნდა მივცეთ მაგალითი ხალხს.

ქართველ კაცს უყვარს სუფრასთან საუბარი, უყვარს მეგობრისთვის, სტუმრისთვის გულის გადაშლა, მისი ბუნება, როგორლაც აქ უფრო ახერხებს თავისი ნამდვილი არსის გამჟღავნებას, მაგრამ ხომ

ეროვნული ბიბლიოთეკა

შეიძლება პატარა ჭიქით შევსვათ ეს დალოცვილი სასმელი, ლობიო და, ვთქვათ, მხოლოდ მხალეული იყოს სუფრაზე. მოზომილად შევწვათ და მოვხრაკოთ, მომჭირნედ მოვექცეთ ხალხის დოვლათს... ამაზე მხოლოდ მადლობას გვეტყვის ერიც და ბერიც, შინაურიც და გარეულიც, უცხოელი სტუმარიც და მოძმე რესპუბლიკის წარმომადგენელიც...

სწორედ ეს პომპეზურობა და წრეგადასული ხელგაშლილობაა მიზეზი ბევრი დღევანდელი სიძნელისა. ისინი კი უმეტესად ცხოვრებისეულ საკითხებში იჩენენ თავს. მეპატიოს ერთი პირადი მაგალითი: მახსოვს, მოსკოვში, ახლადდაქორწინებულნი საიუველერიო მაღაზიაში შევედით. მეუღლეს უნდოდა ოქროს ბეჭედი ეყიდა ჩემთვის (საქორწინო ბეჭედზე მოგახსენებთ), მე ვერცხლის ლამაზი რგოლი ავირჩიე: ამ ბეჭედს არასდროს მოვიშორებ, ჩემთვის სწორედ იმით იქნება ძვირფასი, რომ შენ მაჩუქე, ფასს რა მნიშვნელობა აქვს-მეთქი. დღეს კი თუ ერთმანეთს ბაჯაღლო ოქრო არ მოარგეს ხელზე, ისე თურმე ოჯახი ვერ შეიქმნება. სწორედ ეს არის გადმონაშთი. თუ გნებავთ წვრილმანი უწოდეთ, მაგრამ აქედან იწყება ის ამბიციურობა და კუდაბზიკობაც კი, ჩვენს ახალგაზრდობას რომ უშლის ხელს ნორმალურ ცხოვრებაში.

რამდენი ახალგაზრდა ქალი და კაცი ვიცი, რომ გაურბის ოჯახის შექმნას: ეკონომიური სივიწროვის გამო, ვიცით, რამდენი რამე დაგვჭირდება, საქორწინო ტანსაცმელიდან დაწყებული, ჩვენებს ამდენი ხარჯის თავი სადა აქვთო. ბევრი მათგანი სწორედ ამ სიტყვებით გამოეხმაურა ჩემს წერილს, „საქართველოს ქალის“ 1981 წლის პირველ ნომერში რომ გამოვაქვეყნე სათაურით „ორი უკეთ არის, ვიდრე ერთი“ (მინდა ვისარგებლო შემთხვევით და დიდი მადლობა მოვახსენო ყველას, ვინც ამ სტატიის გამო რედაქციას გამოუგზავნა თავისი აზრი!)

ამ ახალგაზრდებს კი მინდა შევემუდარო: — ახლებურად შეხედეთ ცხოვრებას. რაოდენ გულის ამაჩუყებელი იქნება, ვთქვათ, თქვენი ქორწინების ოც წლისთავზე რომ მიართვათ მეუღლეს ის საჩუქარი, რაზეც დღეს არ მიგიწვდებათ ხელი. დამერწმუნეთ, საკუთარი ოფლით აშენებულ ოჯახში მეტი სილამაზეა, ვიდრე თქვენი მშობლების ხარჯზე წა[illegible]ულ სასახლეში!

ნუ შევუშინდებით სიძნელეებს, ახალგაზრდა ოჯახს სიყვარული და ურთიერთპატივისცემაც ეყოფა ფუნდამენტად. დანარჩენი კი მხოლოდ შენზეა დამოკიდებული ჩვენო ახალგაზრდობავ, ჩვენი ქვეყნის მომავალო!

მთავარია, ზურგი ვაქციოთ ყოველივე მავნესა და დრომოჭმულს.

და ფხიზლად უნდა ვიყოთ, რომ ამ დამახინჯებულმა წეს-ჩვეულებებმა განახლებული ნიღბით არ შემოაღწიონ ჩვენს საზოგადოებაში.



ხმა ღვთისა და ხმა ერისა...

ელენე საყვარელიძე,
საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტი.

# მინდა თქვენს გვერდით ვიყო

უდიდესი კმაყოფილება განვიცადე თქვენს ჟურნალში გამოქვეყნებულ რედკოლეგიის გაფართოებული სხდომის ანგარიშის წაკითხვისას. მე, და ალბათ ბევრს სხვასაც, დაგვებადა სურვილი, ხმა შევუერთოთ მათ, ვისაც ასე სტკივა გული ჩვენი ცხოვრების ნაკლოვანებებზე.

გულგრილობამ, ჩაურევლობამ, წაყრუებამ დააჩნია შავი ლაქები ჩვენ ცხოვრებას. არა და ხომ ფაქტია, რომ ოდესღაც ჩვენი წინაპრების მიერ დაკანონებულმა საქველმოქმედო საქმემ დღეს აღმაშფოთებელი სახე მიიღო, მოხვეჭის წყაროდ იქცა, ავი სენივით მოედო საზოგადოებას.

მოდით, ყველამ საკუთარ გულში ჩავიხედოთ. ნებით თუ უნებლიეთ ხომ არ მიგვიძღვის თვითეულ ჩვენგანს დანაშაული? მე ცოტა ქელეხში ვყოფილვარ?! ალბათ თავს იმით ვიმშვიდებდი, რომ არაფერს ვაშავებდი, ასე იფიქრეთ თქვენც, იმათაც. ახლა რომ ვფიქრობთ, ისე რომ გვეფიქრა მეც, თევენც და იმასაც ხომ აჯობებდა!

ერთმა თბილისელმა ქალმა ქმრის ცხედარი ორი დღით სოფელში წაასვენა, პანაშვიდი გადაუხადა, იქაც მაქვს გავალებაო, საკმაო თანხას მოუყარა თავი და „კმაყოფილმა“ თბილისში დაასაფლავა თანამეცხედრე. ეს სამარცხვინო საქმე რომ ჩაგვეშალა მე, თქვენ და იმათ, ხომ აჯობებდა?!

ქორწილი... რამდენჯერ მითქვამს ქორწილში წასვლაზე უარი იმის გამო, რომ თავს ვერ მოვიწონებდი ძვირფასი საჩუქრით. ჩანს მეშჩანობის გარკვეული დოზით ჩვენც ვართ დაავადებული, მეც, თქვენც, ისინიც.

ჩვენ, ჩვენ ვართ დღევანდელი თაობა, ჩვენ საქციელთა ჯამით იქმნება დღევანდელობა და თუ იგი მანკიერია, ბევრით ვერაფრით ვიამაყებთ.

რამდენჯერ მქონია სურვილი სახლში სტუმრები მომეწვია, მაგრამ შიში მძლევდა, ჩემი სუფრა სხვებზე ნაკლები არ ყოფილიყო. ასე რომ არ ვფიქრობდეთ მე, თქვენ და ისინი, აჯობებდა.

რუსთაველის თეატრის მექსიკაში გასტროლების დროს ჩვენ მეხიკოს ფეშენებლურ სასტუმრო „რიცში“ ვცხოვრობდით. ამბობდნენ, სასტუმროს პატრონი მილიონერიაო. გამომგზავრების წინა დღეს ამ მილიონერმა ბარში გამოსამშვიდობებელი საღამო გაგვიმართა, მოვირთეთ, მოვიკაზმეთ და დილამდე მშვენიერი დროსტარება გვქონდა, მიუხედავად იმისა, რომ მაგიდაზე მხოლოდ და მხოლოდ მოხალული მიწისთხილი და სასმელი — ჯინი იყო. დავიჯერო იმ მილიონერს არ შეეძლო ქათმები და გოჭები თუ არა, ძეხვის ბუტერბროდები მაინც ეშოვნა? მისთვის მთავარი ჭამა კი არა, დამეგობრება იყო და ეს მოხდა კიდეც.

ამას წინათ ჩემი შვილის სკოლის ეზოში მშობლებს მოეყარათ თავი, ისინი აღშფოთებულნი და აღელვებულნი იყვნენ, რომ მათი შვილების მასწავლებელი უკარება, მიუდგომელი ვინმეა და უარი თქვა შეგროვილი ფულით ნაყიდ საჩუქარზე. ვინ მეტი დააშავა, იმ „უკარებამ“ თუ ჩვენ? რა თქმა უნდა, ჩვენ! იმ დღეს კიდევ ერთი სიწმინდე შევბღალეთ!

პოეტი ქალი ნელი გაბრიჩიძე „საქართველოს ქალში“ გამოქვეყნებული წერილით შესანიშნავ ძეგლს უდგამს „ლექსის დედას“, პედაგოგ ქეთევან ანანიაშვილს. ქეთევანს რომ ფასიანი საჩუქრები ჰყვარებოდა, ნამდვილად დაკარგავდა ფასს მასზე უზომოდ შეყვარებული ბავშვების თვალში.

განა ჩვენ არა ვართ ისინი, ვინც ბოროტებაზე თვალს ხუჭავს? განა ჩვენ არ ვიცნობთ, არ ვუღიმით და არ ვმეგობრობთ ავკაცს, მექრთამეს, საქმოსანს?! და ასე გავითქვიფეთ, გავუტოლდით ბოროტებას, მოგვეკიდა მეშჩანობის ობი და გვებრალება კატა ეჟვნების შესაბმელად.

ერთხელ ბოსტნეულის მაღაზიაში გამყიდველმა უმწეო მოხუცს წონაშიც მოატყუა და უხარისხო ბოსტნეულიც მისცა, თან „ეხუმრა“: დედი, ამას დუსტი მოაყარე და კარგი იქნებაო. როგორ მოვიქეცით იქ მდგომნი: — ხმა არ ამოვიღეთ ამ უხამსობაზე. ჰო და, ასე, თანდათანობით გულგრილობის ფიფქებით ბოროტების გუნდა ავაგორეთ, ზვავად ვაქციეთ და ახლა წალეკვით გვემუქრება.

ყველამ საკუთარი თავიდან დაიწყოს:

მე არ გამოვძალო!

მე არ მოვიპარო!

მე არ მოვატყუო! — და საქმეს ეშველება.

ვებრძოლოთ ყველაფერს, რაც ჩვენს კრიალა ზეცას შებილწავს, რაც ჩემს შვილს ლამაზ მომავალს შეურყვნის, ვინც ერთხელ ნაბოძები ცხოვრების მშვენიერებას გვართმევს. აქტიურნი და შეუბრალებელნი ვიყოთ ამ საშვილიშვილო ბრძოლაში, რომ არ დავემსგავსოთ იმ მამალს, მე კი ვიყივლებ და გათენდება თუ არა, რა მენაღვლებაო!

ეროვნული ბიბლიოთეკა



# არის ასეთი ქალი



არიან ქალები, რომელთა დანახვაზე შევიშმუშნებით, ბეჭებში გავსწორდებით, შუბლს გავშლით და უფრო კრიტიკულად შევხედავთ საკუთარ თავს — ჩაცმულობას, ვარცხნილობას, სახის გამომეტყველებას.

ერთ-ერთი ასეთი ქალის წინაშე ვდგავარ... მოწაფესავით.

ქალბატონო ნინო, თქვენ რომ მიყურებთ, ჩემს წარმოსახვაში ზვიადი ერისთავის ამაყ ასულს ვხედავ, ცხენზე ამხედრებულს, თითზე დაგეშილი მიმინო რომ უზის და ქალალაიას არაგვის ნიავი უფრიალებს...

გაელიმა.

ეს „ლირიკული გადახვევა“ მოხდა თელავის მე-3 საშუალო სკოლაში, სადაც პედაგოგი ნინო ერისთავი მორიგე მასწავლებლის წითელი სამკლაურით დერეფნიდან დერეფანში გადადიოდა მოსწავლეების დასახედავად.

თვალი გავაყოლეთ. მიდიოდა წელში გამართული, გვაოცებდა საოცრად ქალური, თანამედროვე სილუეტი...

ამ წერილს არა აქვს პრეტენზია — მიმოიხილოს ქ-ნ ნინოს პედაგოგიური მუშაობის სფერო. ციფრი, რომელსაც ახლა დაგისახელებთ, ყველა სიტყვაზე უფრო ხატოვნად გვიპასუხებს. ორმოცდაათი წელი! ილიასეულად რომ ვთქვათ, პატივცემულო მკითხველო, ეს ის ორმოცდაათი წელიწადია, რომელიც ერთს კი არა, რამდენიმე თაობას ჩამოაყალიბებს სულიერ-მორალურ-ფიზიკურად. ვერაფერს მივუთითებთ, ვერაფერს შევცვლით ნინო ერისთავის ამდენი წლის პედაგოგიურ მუშაობაში. ანდა რა უნდა შეიცვალოს, განა მას რაიმე შეეშლება? მის ბუნებაში ხომ ასე შესანიშნავად არის შერწყმული ის, რაც ღირსეულად გადადის თაობიდან თაობაზე და ისიც, რაც სწავლა-განათლებითა და ცხოვრების გამოცდილებით შეიძინება.

ორმოცდაათი წელიწადი იყო აღმზრდელი მომავალი მამულიშვილებისა, ეს უდიდეს ხელოვნებას მოითხოვს ადამიანისაგან. ეს არის სწავლა, განათლება, პრაქტიკა, არტისტიზმი, გარდასახვის უნარი... და ათასი სხვა რამ ერთად შერწყმული.

ამ წერილით გვინდა მადლობა ვუთხრათ იმ ადამიანს, რომელიც წლების მანძილზე გვაწვდიდა სულიერ საზრდოს და ახლაც ჩვენს შვილებს ყოველდღე ჩასძახის, გახსოვდეთ, „ვისი გორისა ხართო“.

იყო რაღაც სიმბოლური, როცა ქალაქის მესვეურებმა ამერიკიდან ჩამოსულ ერეკლე მეფის შვილთაშვილს — ქალბატონ ქეთევანს ნინო ერისთავი შეახვედრეს. გულთბილი გახლდათ ეს შეხვედრა განახლებული თელავის ბებერ მიწაზე.

ამ დღეებში ქუჩაში მიმავალს ვიღაც ახოვანი აღნაგობის ვაჟკაცი გადაეხვია. ამ ნამოწაფარს ყრმობის მიწამ უყივლა, გულმა თელავში გამოსწია, ბედმა კი ქუჩაში ნინო მასწავლებელს შეახვედრა. რა შეედრება ამ სიხარულს — ოცი, ოცდაათი, ორმოცი, ორმოცდაათი წლის წინათ ჩარბენილ ბავშვობას რომ ჩააფრინდები და დაიჭერ!

ქალბატონ ნინოსათვის ქუჩის ასეთი სიურპრიზები უცხო არ არის.

თელავის ერთ-ერთი სკოლის პედაგოგი თ. ჩაველაშვილი ამბობს: — მე თუ დღეს ბავშვებს ვზრდი, ვასწავლი, ეს ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლის დამსახურებაა, ჩემთვის ის პირველი დანახვისა და მოსმენისთანავე ჩემი იდეალი გახდა... მე დღესაც გაკვეთილზე ნინო ერისთავი ვარ...

გამუდმებით წკრიალებს მისი ტელეფონის ზარი დღესასწაულის დღეებში. და განა მარტო საზეიმო დღეებში!

თელავის ცენტრალურ სკვერში საბჭოთა ხელისუფლების განმტკიცებისათვის დაღუპულ მოქალაქეთა საძმო სამარეა. აქ განისვენებს ოცდათხუთმეტი წლის ვაჟკაცი მამია ერისთავი — ნინო ერისთავის მამა, რომლის სახელიც ვაჟიშვილს დაარქვა.

ქალბატონ ნინოს შვილიშვილებთან ერთად ხშირად ხედავენ სოფელ ქისტაურში, მამა-პაპეულ სახლ-კარში, სადაც ახლა რ. ერისთავის სახლ-მუზეუმია და რომლის კედლებიდანაც სახელოვანი წინაპრები იმზირებიან.

ყველა თქვენი ნამოწაფარისა და მოსწავლის სახელით გისურვებთ მრავალ ბედნიერ გაზაფხულს, ღვაწლმოსილო პედაგოგო!

**ანა იმედიძე**





# გაგარინის ქუჩა სახლი №10

— რა დასამალავია და... პენსიაზე გასვლისას ადამიანს მძიმე განცდები ეუფლება, თითქოს სიცოცხლის შინაარსი უფერულდება. ასეთი წინათგრძნობა მქონდა მეც. თურმე არც ასე ყოფილა საქმე! ვეტერან ქალთა სექციიდან მეორე დღესვე დამირეკეს — საქართველოს სსრ პროფსაბჭოში შემოიარეთ, ვეტერანებისათვის ოცი საგზურია გამოყოფილი და აქედან ერთი თქვენიაო... ბიჭვინთიდან დაბრუნებისთანავე მიკრორაიონის პირველადს პარტიულ ორგანიზაციაში მიხმობენ: დროა პარტიულ და საზოგადოებრივ მუშაობაში დაგვეხმაროთ, გვჭირდებითო. კიდევ ცოტა ხანი და... კომკავშირელ ვეტერანთა საბჭოს კარი შევაღე. ასე რომ, იმ პირველი შიშის განცდა ვერ მოვასწარი, ისევ ახალ სამყაროში, ახალი სილამაზითა და სათნოებით მოსილ გარემოში აღმოვჩნდი. და როცა მასწავლებელთა დახელოვნების ცენტრალური ინსტიტუტიდან (სკოლამდელი აღზრდის კაბინეტს განვაგებდი) დამირეკეს და სამუშაოზე დაბრუნება შემომთავაზეს, უარი განვაცხადე...

ასე ჩავები მრავალსახეობის პარტიულ და საზოგადოებრივ საქმიანობაში...

...ღიმილი, უებარი ღიმილი ერთიორად მატებს მშვენებას მის სანდომიან, საოცრად დინჯ და კეთილ სახეს. თეთრ, სპეტაკ თმაზე ნაჯაფ, მაგრამ მოუღლელ მარჯვენას ისვამს. დიახ, არც მერე ჩაუხრია მუხლი რესპუბლიკის დამსახურებულ მასწავლებელს, პერსონალურ პენსიონერს მარიამ თოიძეს.

სამუშაო ოთახი სავსეა წიგნებით. მაგიდაზე დახვავებულია ალბომები, საქაღალდეები წლობით ნალოლიავები ჩანაწერებით, ფოტო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

17486

დოკუმენტებით, ბავშვთა ნამუშევრებით, აღმზრდელობითი თვალსაჩინოებებით სავსე.

ათეული წლების მანძილზე ემსახურება მომავალი თაობის აღზრდას. პენსიაზე გასვლის შემდეგაც რთული და სათუთი უბანი ჩააბარეს. ექვსიოდე წლის წინათ ჩაუდგა სათავეში ეზოს ბავშვთა ფორპოსტს. არც ახლა უღალატია მისთვის ფანტაზიას, მოვალეობის გრძნობას, ადამიანებისადმი დიდ, საოცრად დიდ სიყვარულს. და მას შემდეგ, თბილისში გაგარინის №10 სახლში ხალისიანი სიცოცხლე ჩქეფს...

ახლა უკვე აღარავის აკვირვებს ეზოში გამართული დილა-საღამოები, გამოჩენილ ადამიანებთან შეხვედრები, ზეიმები, მხიარული თამაშობა, ეზოს კედლის გაზეთის „მეგობრობის" საინტერესო, თემატურად მრავალფეროვანი ნომრები, ექსკურსიები. შინაარსიანი, ხალისიანი გახდა ეზოს ბავშვთა ცხოვრება. ის კი არადა, მათ შეუერთდნენ პირველად ამ საქმის ალმაცერად მაყურებელი მშობლებიც და ბოლოს ყველა მობინადრე ერთ დიდ, განუყოფელ ოჯახად შეიკრა, ამიერიდან სიხარულიც საერთო გაუხდათ და... ჭირიც.

— პატივცემული მარიამია ყველაფრის წამომწყები.

— პირველ ივნისს უნდა დასწრებოდით ჩვენს ზეიმს...

— ექსკურსიები? რომელ ერთს ჩამოთვლის კაცი, ვიყავით მცხეთაში, საგურამოში, ზედაზენზე, ყვარელში, ზაფხულობით დავდივართ ეთნოგრაფიულ მუზეუმში („ღია ცის ქვეშ"), ლისისა და კუს ტბებზე. წინა კვირას სახელმწიფო მუზეუმს ვესტუმრეთ...

გულთბილად, სიყვარულით ლაპარაკობენ პატივცემულ მარიამსა და ერთმანეთზე ნინო მამუკიშვილი, კატო ჯიღაური, ნორა და შალვა კირტავები, ლიანა მოსესოვა, კონსტანტინე ღლონტი.

ხუთი ეროვნების 18 ოჯახი შეხმატკბილებულად ცხოვრობს. ზოია დეიდას არავინ ჰყავდა ქვეყანაზე. მთელი ეზო პატრონობდა ავადმყოფს. მისი ხსოვნისადმი მიძღვნილი საღამოც გამართეს.

...გაოცების, კმაყოფილებისა და სიხარულის გრძნობა გეუფლებათ, როცა გადაშლით ალბომს, „სახლი — ერთი ოჯახი" — ასე დაუსათაურებია მარიამ თოიძეს გაგარინის № 10 სახლის მატიანე, საბჭოთა საქართველოს მე-60 წლისთავისათვის რომ მიუძღვნია. მის ორივე ნაწილში („ეს სახლი ჩვენთვის აშენდა" და „რას აკეთებ შენ ამ სახლისათვის?") გაეცნობით ამ ბინისა და ეზოს ისტორიას, მის თითოეულ მცხოვრებს, მათს საქმიანობას. ჩანაწერებში მარიამ თოიძე მოკლედ, ლაკონიურად, ფოტოდოკუმენტების მოშველიებით გვაცნობს მათ:

„კირტავა კლარა — დიასახლისი. სახლის კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე. უყვარს ეზოს სისუფთავის დაცვა და თავად უჩვენებს სხვებს გარჯის საუკეთესო მაგალითს, გვეხმარება ღონისძიებების გახორციელებაში; „შახიანი ლევან — ქვის ოსტატი. ეზოში ქვის მაგიდა გამართა, გაიყვანა ქვის ბადური, დაბარა ეზოს საყვავილე". მეორე გვერდი კი მის ვაჟიშვილზე მოგვითხრობს: „გია საბავშვო ბაღის აღსაზრდელია და განაგებს ყვავილნარს. იცავს. ის უკვე აღარ აზიანებს მას"...

იშვიათი გულმოდგინებით შეუდგენია პატივცემულ მარიამს „წიგნი მედიცინის ზოგიერთ საკითხზე". ალბომში თავი მოუყრია პერიოდულ პრესაში გამოქვეყნებული მასალებისათვის.

ამ სახლში საზეიმოდ აღინიშნება ყოველი ოჯახის ახალი წევრის დაბადება, რძლისა და სიძის შემომატება, საბჭოთა არმიის რიგებშიც საზეიმოდ მიაცილებენ ჭაბუკებს... ამას წინათ მეეზოვეს ისაკ მანველოვს კრებაზე მადლობა გამოუცხადეს და ფასიანი საჩუქარი გადასცეს კეთილსინდისიერი შრომისათვის; ცხარედ კამათობდნენ ტელეგადაცემის, — „მოიპარეს ბიჭების" შემდეგ, მსჯელობდნენ...

ადამიანების დიდი სიყვარული შთაუნერგეს მშობლებმა მარიამ თოიძეს. წლების მანძილზე მუშაობდა საბავშვო ბაღების გამგედ, სკოლამდელი აღზრდის ინსპექტორ-მეთოდისტად, განაგებდა საბავშვო სახლებს, მასწავლებელთა დახელოვნების ცენტრალური ინსტიტუტის სკოლამდელთა აღზრდის კაბინეტს... და ყველგან შემოქმედებითად ასრულებდა პარტიულ და საზოგადოებრივ დავალებებს.

მღელვარებით იხსენებს პატივცემული მარიამი საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების დღეებს, ალკკ რიგებში შესვლის, თბილისის ცენტრალურ პარტიულ სკოლაში სწავლის პერიოდს. ლიხაურში გაზრდილმა ქალიშვილმა გაამართლა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ნდობა და გორის სამაზრო კომიტეტის ქალთა განყოფილებას ახალგაზრდული შემართებით ხელმძღვანელობდა, შემდეგ კი სიღნაღის მაზრაში პოლიტმოძრავი სკოლების თავქალობა მიანდეს.

...ალისფერი ყელსახვევები სათუთად დევს თაროზე. ვინ მოთვლის, რამდენ შეკრებასა და თავყრილობაზე აირჩიეს ვეტერანი ქალი საპატიო პიონერად! მერე და რამდენი რამ აკავშირებს ბავშვებთან! მათთვის ზრუნვასა და ფიქრში ჩამოათოვა.

მარიამ თოიძე საქართველოს ალკკ თბილისის ორჯონიკიძის რაიკომთან არსებული კომკავშირის ვეტერანთა საბჭოს წევრია. რაიონის მე-80 სახლმმართველობის პირველადი პარტიული ორგანიზაციის მდივნის მოადგილეა და საზოგადოებრივი საბჭოს კულტმასობრივ სექციასაც ხელმძღვანელობს. შრომისმოყვარე ქალი 1964 წელს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დააჯილდოვეს, საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის სიგელიც მისცეს ახალგაზრდობის კომუნისტურ აღზრდაში დამსახურებისათვის...

რვა ათეულს გადააბიჯა.

— მეგონა პენსიაზე გავალ და მეტი დრო მექნება-მეთქი. ასე არ მოხდა... უებარი ღიმილი აცისკროვნებს ამ კეთილშობილი მანდილოსნის სახეს...

ნათელა ქიმერიძე-შურღაია

# პატარძეულის ზარები

დგანან.
მოგონება ხედ ქცეულა თითქოს.
დგანან.
მათი უტყვი მზერა შესანდობარს ითხოვს.
ფრთამსხვრეული ვაჟკაცები
ტიტანებად დგანან
და ზარები მათ მკლავებზე
ცრემლებივით ჩანან.
ო, ზარები,
სევდით სავსე მოგონებად რეკე,
უწინდელ დროს თუ რეკავდნენ
მონგოლებს და ლეკებს,
ახლა რეკენ: მოგონებას
არ მოედოს ხავსი,
არასოდეს დაგვავიწყდეს
თავდადების ფასი!
ცის ტატნობზე ნებივრობდეს
მხოლოდ ფერი ლურჯი
და არავინ დაიკავოს
ხელში შავი ფუნჯი.
თორემ რისხვად წამოდგება
ისევ ხალხის ნება,
არწივებად გადიქცევა
ჯარისკაცთა წყება,
მათი ხსოვნა გაამხნევებთ,
ვინც დალეწა მჯენი,
ვინაც ბერლინს დაუწერა
მკაცრი განაჩენი.
ო, ეს ხენი,
სევდით სავსე
მოგონებად მდგარნი,
აღმართულან,
რომ გვახსოვდეს
ყველა ამაგდარი.
ფრთამსხვრეული ვაჟკაცები
უტყვ ხეებად დგანან
და ზარები მათ რტოებზე
სანთლებივით ჩანან!

მარინე ფერიშვილი



სახ... რესპუბლიკ. ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა



# როგორ არის საქმე იქ, უნგრეთში?

...ბუდაპეშტიდან სამხრეთისაკენ მივემგზავრებით, ბარანიის ოლქში. თითქმის მთელი ქვეყნის გავლით, მივუყვებით ნოყიერ მდელოებს, ვენახებს, ძველებურ ქალაქებს. თითქმის ზედ იუგოსლავიის საზღვარს მივადექით. სოფელი ბაქშა.

ანდრაშ პინტერი აქაური კოოპერატივის თავმჯდომარის მოადგილეა. კოოპერატივის გასაცნობად დავასახელებ შარშან მოწეული მოსავლის ციფრებს: სიმინდი — ჰექტარზე 58 ცენტნერი, ხორბალი — 58 ცენტნერი, საგაზაფხულო ქერი — 47,7 ცენტნერი, მზესუმზირა — 25 ცენტნერი.. სოლიდური ციფრებია. ის წელიწადი, ამბობს პინტერი, რიგითი წელიწადი იყო, რაღაცით არახელსაყრელიც კი. სხვათა შორის, 1980 წელს მთელმა ქვეყანამ ყოველ ჰექტარზე 47,4 ცენტნერი ხორბალი მიიღო, 37,7 ცენტნერი ქერი, 53,5 ცენტნერი სიმინდი, 371,3 ცენტნერი შაქრის ჭარხალი, 147 ცენტნერი კარტოფილი, 52,3 ცენტნერი ყურძენი... ღორისა და ქათმის ხორცით უნგრელები მარტო თავის თავს როდი კვებავენ, ხორცი თავიანთ ყველაზე სარფიან საექსპორტო საქონლად აქციეს.

ამ მოგზაურობის დროს კვლავ დავრწმუნდი, თუ რაოდენ საჭიროა სოფლის მეურნეობის რენტაბელობისათვის იმის უნარი, რომ გაუფრთხილდე ყოველ ფორინტს, გაითვალისწინო უწინარესად ეკონომიკური სარგებლიანობა, ფეხქვეშ იგრძნო რეალური ნიადაგი.

— აი ბაქშაში გამოიანგარიშეს, — ამბობს ანდრაშ პინტერი, — და იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ კოოპერატივიც კი, რომლის განკარგულებაშია საუცხოო მანქანები, კარგი კადრები, მინდვრებიდან და ფერმებიდან საკმარის პროდუქციას ვერ აიღებს, სანამ არ მიაგნებს ჯადოსნურ ჯოხს, რომელსაც ეწოდება მატერიალური დაინტერესება.

— ხომ მოგეხსენებათ, — გატაცებით ამბობს იგი, — როგორ აგებდნენ, ჩვეულებრივ ბრიგადის მუშაობას? ხელმძღვანელი გასცემს განკარგულებებს, ხალხი კი ასრულებს მას. არაფერზე არ ფიქრობენ, არაფერზე არ მსჯელობენ. მაგრამ გლეხმა ხომ თვითონ იცის როგორ დაამუშაოს მიწა, ის ხომ ამ საქმის შემოქმედია! მიეცი მას დამოუკიდებლობა, და თვითონ აწონ-დაწონის, რა და როგორ გააკეთოს. გულგრილი შემსრულებელი არც კოოპერატივს აძლევს ხელს, არც სახელმწიფოს. ორი წლის წინათ ეკონომიკის ინსტიტუტის მეცნიერთა დახმარებით მომწიფდა იდეა დიდი ბრიგადების ნაცვლად, სადაც ყველაფერი დაქსაქსულია და მუდამ რაღაც ან ვიღაც აკლიათ, დარგების მიხედვით შექმნილიყო მუშაკთა პატარ-პატარა ჯგუფები.

დავიწყეთ მეფრინველეობით. გამოვყავით თხუთმეტი კაცი — მეფრინველეები, მონტიორი, მძღოლი, ღამის დარაჯიც და ვუთხარით მათ: აი თქვენ წარმოების საჭირო სახსრები, აი თქვენ 600 ათასი ფორინტი — ეს შეესაბამებოდა ხელფასის თანხას, რომელსაც წლის განმავლობაში უხდიდნენ კოლექტივს. წლის ბოლოს კი, კეთილ ინებეთ, მოგვეცით მოგება — 3 მილიონი ფორინტი. როგორ იშოვით ამ ფულს, რა გზებითა და საშუალებებით. — ეს უკვე თქვენი საქმეა. ჰოდა, მოდით, გაუძეხით მეურნეობას!

იყო ერთი დავა და დისკუსიები: ხომ არ დაშლის ეს უკვე ჩამოყალიბებულ ორგანიზმს? განა ყველას, ვინც დამოუკიდებლობაზე ოცნებობს, შესწევს მისი გამოყენების უნარი?

— მერე? რა მოხდა მერე? — დავინტერესდი მე, — მისცეს მათ წლის ბოლოს 3 მილიონი ფორინტი მოგება?

— უფრო მეტიც, გაცილებით მეტი!

— როგორღა გაანაწილეს ეს ფული?

— როგორ და, ასე: დაგეგმილის გადამეტებით მიღებული თანხიდან 70 პროცენტს კოოპერატივი იღებს. ეს არის მოწყობილობის ამორტიზაცია, კრედიტი და ა. შ. 30 პროცენტი კი ბრიგადის წევრებს შორის ნაწილდება. ისინი თვითონ წყვეტენ, ვის რამდენი ერგება. ჰოდა, გაიჩარხა საქმე! მთელი მეფრინველეობა ჯგუფურ ფორმაზე გადავიდა, მერე კი მას სხვა დარგებიც მიჰყვა. სარგებლით აგვინაზღაურდა სიახლე. იცით, ტექნიკის, მოწყობილობის ასეთი წესრიგიანობა, ასეთი მონდომება არ მახსოვს ჩემს კოოპერატივში, თუმცა აქ უკვე თვრამეტი წელია ვმუშაობ. ავიღოთ იგივე მეფრინველეობა. ზოგიერთ ფერმაში არის ავტომანქანები. მაგრამ ჩვენი დღედამოსწრება არ გვყოფნიდა ისინი და ახლებს ვითხოვდით. ახლა ორი მანქანა აკმაყოფილებს ყველა მოთხოვნილებას. თქვენ წარმოიდგინეთ, სხვა ჯგუფებსაც ვაძლევთ, მაგრამ, — ქირით. ყველაფერი შეკეთებულია, ყველაფერი წესრიგშია მოყვანილი. ერთი ფიცარიც არ ცდება ტყუილუბრალოდ. საკვებს ყაირათიანად ვხარჯავთ.

ჯგუფს თუ ბრიგადას ფართო უფლებები ენიჭება. მათ საჭიროებისდამიხედვით შეუძლიათ მიიზიდონ სამუშაოდ ქალაქელები თუ ვინც იქნება — ისინი ერთი წლით იღებენ მთელი ხელფასის ფონდს და თავიანთი შეხედულებისამებრ ხარჯავენ.

შარშანდელი წლის დამლევს კოოპერატივმა თავის შვიდ ჯგუფს ხელფასის გადამეტებით გადაუხადა 920 ათასი ფორინტი და ყველამ სხვადასხვაგვარად მიიღო: ზოგმა 2 ათასი ფორინტი, ზოგმა 12 ათასიც.

— მაგრამ ხომ არსებობს, ალბათ, რაღაც ზღვარი შრომის ანაზღაურებაში?

— დიახ, რა თქმა უნდა! მას განსაზღვრავს ფინანსთა სამინისტრო და, გადამეტების შემთხვევაში, პროგრესულ გადასახადს იხდიან...

ეს ჩვენი უგანაწესო სისტემის ნაირსახეობაა? მე ვიტყოდი — მისი უნგრული ვარიანტია, ცხოველუნარიანი, საინტერესო ვარი-

ანტი, რომელიც მოიცავს და წყვეტს ფართო წრის პრობლემებს. დამოუკიდებლობა, დაინტერესება, ეკონომიურობა. თანაც საქმის სადავეები ადამიანს უპყრია ხელთ, მისი სრული ბატონ-პატრონი ხდება.

ბატონ-პატრონი კი ასეთია: იგი ფულსაც ანგარიშობს და ყოველივე სხვასაც, ძნელი მდგომარეობიდან გამოსავალსაც იპოვის, აქ რაღაც საქმეს მოახერხებს, იქ ეკონომიას გასწევს...

საჭირო კალაპოტით თუ წარმართავ გლეხურ მომჭირნეობას, ბევრ რამეს მიაღწევ. ბოლოს და ბოლოს, იმით აგინაზღაურდება, რომ უხვი დახლი, უხვი სუფრა გექნება, როგორც ეს უნგრეთში მოხდა.

## „ცოცხალი ორგანიზმი, და არა მონუმენტი“...

დანიშნული მაქვს შეხვედრა მინისტრის მოადგილესთან იანოშ ელეკისთან.

— ჩვენი სოფლის მეურნეობის გზა სულაც არ ყოფილა იოლი, — ფიქრიანად დაიწყო ელეკიმ, — სოფელი უამრავ სიძნელეს წააწყდა, რომელიღაც ეტაპზე მუშახელი ქალაქისაკენ დაიძრა, ვერ სრულდებოდა მოსავლის აღების დასახული დავალებები, ილუპებოდა დიდძალი პროდუქცია. ამ დროს ჩვენ არგენტინისაგან ვყიდულობდით გაყინულ ხორცს... და ეს მაშინ, როცა მიწა და ყველაფერი, რის წარმოებაც ამ მიწაზე შეიძლება, ჩვენი ქვეყნის მთავარი დოვლათია. სხვა რამ განგებას ჩვენთვის არ მოუმადლებია. ჰოდა, მწვავე საჭიროებამ გვაიძულა გვეფიქრა, გვეძებნა, რომელი გზით წაგვემართა ძიება. გადავწყვიტეთ სოფლად შრომა ყველასათვის სარგებლიანი გაგვეხადა, რომ ხალხი არ დალოდებოდა ბრძანებას: „დაიწყე თესვა, დათესე ეს და ეს“, რომ ესწავლათ დამოუკიდებლად მოქმედება, რომ ეს დამოუკიდებლობა ანარქიად კი არ გადაგვექცია, არამედ ნაყოფის მომცემად. კოოპერატივისა და მთელი ჩვენი სახალხო მეურნეობის განმამტკიცებლად. როგორ სწავლობს პილოტი ფრენას? ხან სულ ინსტრუქტორს უზის, ხან უცებ მარტო აღმოჩნდება ცაში. ეშინია, მაგრამ მიფრინავს. ინსტრუქტორი ქვემოდან თვალყურს ადევნებს ფრენას. განა მას არ უჭირს ამ მომენტში? მაგრამ, მოდით, თავი დავანებოთ ზეცას. მიწაზე დავბრუნდეთ, რომელიც უნდა მოვხნათ, რომელზეც უნდა ვთესოთ, მოსავალი მოვიწიოთ.

როგორია ამჟამად ურთიერთობა კოოპერატივებთან? დგება როგორც ხუთწლედის, ისე ერთი წლის სახელმწიფო გეგმა. მეურნეობაში სახავენ თავიანთ გეგმებს. ჩვეულებრივ, ისინი სახელმწიფო გეგმებზე უფრო დიდია. რატომ? იმიტომ, რომ ჩვენ სურსათის წარმოებაში მარტო საშინაო ბაზარზე კი არ ვიღებთ ორიენტაციას, არამედ საგარეო ბაზარზეც. სხვათა შორის, მთელი შემოსავლის თითქმის ნახევარს გვაძლევს სოფლის მეურნეობის პროდუქტების — ხორცის, ბოსტნეულის, ხილის, ღვინის ექსპორტი... არადა, მსოფლიო ბაზარი ახლა ძალზე ცვალებადია, ამიტომ საერთო-სახელმწიფო გეგმებს ჩვენ „ღიას“ ვუწოდებთ. ესე იგი, შეიძლება იყოს სხვადასხვა ცვლილება, დამატებები, ხოლო წლიური გეგმა უკვე უფრო სტაბილურია.

პროდუქციის სახელმწიფო ფასების, დაკრედიტების, კაპიტალური დაბანდებების ახლანდელი სისტემა — ყოველივე ეს ისეთ ეკონომიკურ სფეროს ქმნის, სადაც კოოპერატივის და მთელი სახალხო მეურნეობის ინტერესები მაქსიმალურად შეესაბამება ერთმანეთს.

— ჩვენს მკითხველებს ძალზე აინტერესებთ, როგორ არის უნგრეთში პროდუქციის გადამუშავებისა და დაცვა-შენახვის საქმე?

— ჩვენთან სოფლის მეურნეობა და გადამმუშავებელი მრეწველობა ერთ სისტემაში მოქმედებენ. ასე განსაჯეთ, სამინისტროც კი ერთი გვაქვს... ახლანდელ, მეექვსე ხუთწლედში სახელმწიფო დიდ მატერიალურ დახმარებას უწევს მეურნეობებს ყოველგვარი საცავების მშენებლობაში.

— ორი წლის წინათ გახლდით დაბა ხერნადში, აქ არის კოოპერატივი — „ხუნია გიბრიდის“ სისტემის მეთაური საწარმო, სადაც ხდება ქათმების მოშენება. კოოპერატივმა თავის პარტნიორებთან ერთად ააგო ხორცის კომბინატი.

— ჩვენში ბევრი ასეთი კოოპერატივია. ერთ მეურნეობას უჭირს დიდი მშენებლობის წარმოება და ამიტომ რამდენიმე სხვას იხდის პარტნიორად. შედეგად ვიღებთ სამეურნეობათაშორისო კოოპერაციას, რომელიც ყველასათვის ხელსაყრელია. მაგრამ თუ გვერდით არის დიდი სიმძლავრის სახელმწიფო საწარმო, რომელიც სავსებით ართმევს თავს პროდუქტების გადამუშავებას, ამგვარი რამის აგება კოოპერატივს რაღად სჭირდება! ჩვენთან სახელმწიფო მრეწველობასაც, კოოპერატივებსაც, ვაჭრობასაც — ყველას ერთი მიზანი აქვს: მეტი მოიწიონ, სწრაფად გადაამუშაონ და გაყიდონ. ვთქვათ, მოთხოვნაა რომელიმე პროდუქტისა, მაგრამ კოოპერატივს მეტის მოცემა არ შეუძლია. მაშინ სახელმწიფო საწარმო და ვაჭრობა თავიანთი სახსრების ნაწილს კოოპერატივში აბანდებენ, რათა მან იმდენი პროდუქციის წარმოება შეძლოს, რამდენიც საჭიროა.

— მაგრამ აქ ხომ ერთმანეთში ირევა ორი ფორმის საკუთრება — სახელმწიფო და კოოპერაციული?!

ელეკი მხურვალედ რეაგირებს ჩემს გაოცებაზე, თითქოს ეს იწინასწარმეტყველაო:

— მერე რა? დიახ, ირევა. მაგრამ, საბოლოო ანგარიშით, მთელი ხალხის საკუთრება იზრდება. ჩვენში ეს ხშირად ხდება. აი ავიღოთ პამიდორი. დადებული აქვთ ხელშეკრულება კოოპერატივს, სახელმწიფო ქარხანასა და სავაჭრო ორგანიზაციას. ცნობილია დასათესი ფართობი, სავარაუდო მოსავალი, მაგრამ არ შეიძლება ანგარიში არ გაეწიოს ამინდს. თუ ნავარაუდევზე ნაკლები პამიდორი მოიწიეს, ქარხანაში დაუტვირთავი რჩება სიმძლავრეები. ხოლო თუ დასახულზე მეტია მოწეული, სად წაიღონ პამიდორი? კონფლიქტები რომ არ მოხდეს, კოოპერატივი და ქარხანა ქმნიან ვერტიკალურ ინტეგრაციას. მიზანი ერთია — რაციონალურად გამოიყენონ მიწაც და ქარხნის სიმძლავრეებიც, მოიწიონ მეტი პროდუქცია, მიიღონ მეტი შემოსავალი. ისინი ერთად წყვეტენ, როგორ იმოქმედონ. კოოპერატივი ცვლის პამიდორის ჯიშებს, რათა ისინი ერთბაშად კი არ მწიფდებოდეს, არამედ გარკვეული დროის მანძილზე. თუ ქარხანას აკლია ხალხი, — სოფელი უგზავნის დროებით. ჰოდა, მას უკვე შეუძლია მთელ დღეღამეს იმუშაოს. აქ ვაჭრობაც გვეძალება: არიქა, მოთხოვნაა, მეტი პროდუქცია მოგვეცითო. აჰა, ამისათვის საჭიროა საამქროების გაფართოება! სამივე სექტორი აბანდებს ფულს. ჩვენში ბევრი სხვადასხვა სისტემა და გაერთიანება მოქმედებს.

— მე მხოლოდ გუშინ დავბრუნდი სექსარდიდან. იქ მუშაობს სისტემა, რომელიც მესიმინდეობის, მეურნეობებს აერთიანებს. მათს გეოგრაფიულ რუკაზე ლამის ქვეყნის ნახევარია აღნიშნული.

— დიახ, ეს მსხვილი საწარმოო სისტემაა. თხუთმეტი წლის წინათ გადაწყვიტეს უნგრეთის ხუთ მეურნეობაში სიმინდის თესვა-მოყვანის მთელი პროცესის სრული მექანიზაცია მოეხდინათ. სიმინდი კი უმნიშვნელოვანესი საკვები კულტურაა, ჩვენი მეცხოველეობის საფუძველია. სხვადასხვა ქვეყანაში შევისყიდეთ ყველაზე თანამედროვე მანქანები. პრობლემების მთელმა ერთობლიობამ, — ბიოლოგიურმაც, ტექნიკურმაც და ეკონომიკურმაც, — წარმოშვა მსხვილი გაერთიანებები, რომლებშიც ბევრი პარტნიორი და ორგანიზაცია შედის. მაგრამ არის უფრო მარტივი კოოპერაციაც. აი ასეთ მაგალითს მოგიყვანთ. ჩვენში ჯერ კიდევ ბევრი სასუქი და ქიმიკატი იკარგება შენახვისას. რა აზრი აქვს, თითოეულმა მეურნეობამ ცალ-ცალკე აშენოს საცავი: არც ხელსაყრელია და არც ეკონომიური. მაგრამ თუ შევკრებთ 10-12-ს, მათთვის მოსახერხებელია ერთად ააგონ ნამდვილი აგროქიმიური ცენტრი, სადაც იქნება ჩინებული მოწყობილობა. კოოპერატივების გამსხვილება ჩვენში აღარ ხდება. პირიქით, ზოგიერთს უკვე საჭიროდ მიაჩნია გაცალკევდნენ. ცხოვრებამ გვიჩვენა: გიგანტური მეურნეობები ნაკლებ ეკონომიურია, ვიდრე საშუალო-მობილური, შეკავშირებული, რომელთა მართვა ადვილია. თუ გნებავთ, მათთვის უფრო იოლია მანევრირება სისტემის, გაერთიანებების შიგნითაც. უამსისტემებოდ კი ჩვენი სოფლის მეურნეობა ველარ იარსებებს. ხომ არ ლახავს ეს კოოპერატივების დამოუკიდებლობას? არამც და არამც! პირიქით, მხოლოდ დამოუკიდებელ ერთეულს შეუძლია განსაზღვროს რა ადგილი უჭირავს სისტემაში, თანაც იმ სისტემაში, სადაც უფრო ხელსაყრელია.

კაპიტოლინა კოჟევნიკოვა,
„ლიტერატურნაია გაზეტას“ სპეციალური კორესპონდენტი.

დასასრული შემდეგ ნომერში

ეროვნული ბიბლიოთეკა





# ჩემი მოსწავლე, ჩემი მეგობარი

წუხელ საღამოს, საქართველოს ტელევიზიამ გადაცემა მიუძღვნა საქართველოს ლენინურ კომკავშირს.

მრგვალ მაგიდასთან, მოწინავე ახალგაზრდობასთან ერთად, მოწვეული იყვნენ კომკავშირის ვეტერანები.

გული სიმწრით ამევსო. გამახსენდი შენ, ჩემო ძვირფასო მოწაფევ, ახლად ფეხადგმული პიონერული მოძრაობის პირველო მერცხალთაგანო! კომკავშირული ორგანიზაციის ღვაწლის აღსანიშნავ ყველა ზეიმზე ვეტერანთა შორის შენ გეკუთვნის ერთ-ერთი პირველი ადგილი, რის ღირსიც ჯერ კიდევ ბავშვობიდანვე მგზნებარე გულითა და დაუცხრომელი ენერგიით გახდი.

რამდენიმე დღის წინათ შენმა ქალიშვილმა შენი დაწერილი ავტობიოგრაფია მომიტანა, სადაც სიყვარულით იგონებ მოწაფეობის წლებს და მადლიერებით მიხსენიებ მე, შენს მასწავლებელს და პიონერული ორგანიზაციის ხელმძღვანელს, რომელმაც, როგორც ამბობ, წარუშლელი კვალი დატოვა შენს სულში და განსაზღვრა მთელი შენი მომავალი ცხოვრების იდეური გზა.

მადლობა მე მეთქმის, რადგანაც ამაზე უმაღლეს ჯილდოს ვერც ვინატრებდი.

შურა მენაბდე — ქ. ოზურგეთის (ახლანდელი მახარაძის) № 1 შვიდწლედის მოსწავლე, ჩემი მასწავლებლობის პირველ წლებში (1923-26) VI-VII კლასების პირველ მერხებზე მხვდებოდა. ის თავიდანვე რაღაც განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობდა თავისი სიდინჯით, ნიჭით, გონებაგახსნილობით, პასუხისმგებლობის გრძნობითა და მოკრძალებით.

1923 სასწავლო წელს, ოზურგეთის № 1 შვიდწლედში ჩამოყალიბდა პიონერული ორგანიზაცია — სასკოლო ფორპოსტი, რომლის ხელმძღვანელობა მე დამეკისრა, როგორც ახალგაზრდა მასწავლებელს და სამაზრო კომიტეტის აქტიურ წევრს.

საზოგადოებათმეცნიერება, რასაც ვასწავლიდი, ახლოს იდგა კომუნისტური აღზრდის ამოცანებთან და შურასთან ერთად ჩემი საუკეთესო მოსწავლეები პიონერული ორგანიზაციის ფორპოსტის საბჭოში შედიოდნენ.

აქ, სკოლის პიონერულ ორგანიზაციაში ეზიარა შურა პირველ „შაბათობებს", რასაც ვაწყობდით საკლასო ოთახებისა და სკოლის გარემოს გამწვანება-გალამაზებისათვის. პიონერულმა ორგანიზაციამ დაავალა შურას წერა-კითხვა ესწავლებინა სკოლის დამლაგებელი ქალისათვის. შემდეგ უკვე კომკავშირელი — მოსწავლე კომკავშირის სამაზრო კომიტეტმა ქალაქის გარეუბნებში, ექადიისა და მოინახის წერა-კითხვის უცოდინარობის სალიკვიდაციო სკოლების მასწავლებლად გააგზავნა, სადაც ღირსეულად გაართვა თავი დაკისრებულ მოვალეობას.

1926/27 სასწავლო წელს დავშორდი ჩემს სკოლას და მოსწავლეებს, თბილისში გადმოვედი სწავლის გასაგრძელებლად. ამ პერიოდისთვის შურა უკვე აქტიურად მოღვაწეობდა კომკავშირის სამაზრო კომიტეტში.

გავიდა წლები... 1931-32 წლებში საქართველოს საკოლმეურნეო ცენტრში მუშაობისას რამდენჯერმე შევხვდი მას — უკვე საზოგადო მოღვაწეს, პარტიულ მუშაკს. შურა აქტიურად იყო ჩაბმული თავისი რაიონის საკოლმეურნეო მშენებლობაში და უშუალოდ ხელმძღვანელობდა კოლმეურნეობებთან საბავშვო მოედნების, ბაგა-ბაღების და ქალთა სხვა საყოფაცხოვრებო მომსახურების დაწესებულებათა გახსნისა და მშენებლობის საქმეს — როგორც რაიაღმასკომის ქალთა კომისიის თავმჯდომარე, შემდეგ კი — რაიკომის ქალთა სექტორის გამგე.

სამამულო ომის მძიმე წლებში (1941-43 წ.) შურა მენაბდე საქართველოს კომპარტიის თბილისის გარეუბნის რაიკომის მდივანია. ამ წლებში წყნეთის საშუალო სკოლაში მომიხდა მუშაობა.

შიმშილი და გაჭირვება სუფევდა, მაგრამ ყველაფერი კეთდებოდა ფრონტისათვის, მტერზე გამარჯვებისათვის. და აი, აქ ვნახე ჩემი ყოფილი მოწაფე და პიონერი, რომელიც თავდადებულად შრომობდა სამამულო ომის ზურგში.

პენსიაზე გასვლის შემდეგ, საზოგადოებრივი მუშაობის ფართო ასპარეზზე კვლავ შევხვდით ერთმანეთს ყოფილი მოწაფე და მასწავლებელი. როგორც საქართველოს უმაღლესი საბჭოს შტატგარეშე კონსულტანტები, საქართველოს პროფსაბჭოს ინსტრუქტორები, პარტორგანოების პროპაგანდისტები, ქალთა შორის მუშაობის რესპუბლიკური კომიტეტის წევრები და ვეტერან ქალთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანიზატორები.

რამდენი სასარგებლო წინადადება წამოაყენა და რამდენი შრომა გასწია მან ვეტერან ქალთა კარგი მომსახურებისათვის, რა უხვად უზიარებდა ახლად შექმნილ ქალთა რაიონულ საბჭოებს შორეულ წლებში გურიასა და სვანეთის პარტიულ ორგანოებში მუშაობისას მიღებულ გამოცდილებას!

საერთო ინტერესებმა ასაკთა შორის განსხვავება წაშალა და უახლოეს მეგობრებად დაგვაკავშირა.

შურა მენაბდე ოთხი შვილის დედა იყო. მას ადრე გამოეცალა ხელიდან მეუღლე და ოჯახის ტვირთი თვითონ დააწვა მხრებზე. მაგრამ ამ მძიმე ჭაპანის წევაში შურას ურმის ჭრიალი არავის გაუგია, ჩვეული თავდადებით აღუზარდა ჩვენს საბჭოთა საზოგადოებრიობას სწავლის მედალოსნები და მოწინავე სპეციალისტები.

ამას წინათ შენს საფლავზე შევხვდი შენი სტუდენტობის წლების ამხანაგებს. რა აღტაცებით იხსენებდნენ შენს ბრწყინვალე სტუდენტობას, შენს გულალალობას და იმ დიდ ავტორიტეტს, რაც აკადემიური წარმატებებით, ორატორული ნიჭით და სტუდენტთა ორგანიზაციებში აქტიური მუშაობით მოიხვეჭე.

შენი სიკვდილით დიდი დანაკლისი განვიცადეთ. შენთან ყოველი შეხვედრა უსაზღვრო სითბოს გვიღვრიდა სულში. ახლა კი მხოლოდ ტკბილი მოგონებებით უნდა დავკმაყოფილდეთ.

ოლია საბაშვილი

ვილჰელმ შტრუგე

# დედა

ორმოცდაჩვიდმეტი წლის მარია მენდელეევამ ციმბირის ქალაქ ტობოლსკიდან მოსკოვამდე ეტლით ორი ათასი და კიდევ რამდენიმე ასეული კილომეტრი გაიარა, გაიარა ურალი, რათა თავისი თექვსმეტი წლის ვაჟი დიმიტრი ივანეს ძე მენდელეევი სასწავლებლად მიებარებინა.

ის იდგა მოსკოვის უნივერსიტეტის რექტორის წინაშე და არაფრით არ უნდოდა გაეგო მისი სიტყვები, რაოდენ თანაგრძნობითაც უნდა ყოფილიყო ნათქვამი. „დიდად ვწუხვარ, პატივცემულო ქალბატონო, მაგრამ არაფრის შეცვლა არ შემიძლია. კანონი კრძალავს უნივერსიტეტში ჩამოსული აბიტურიენტების მიღებას. იქნებ პეტერბურგში გეცადათ“.

პეტერბურგში! ადვილი სათქმელი იყო ასეთი მოგზაურობის შემდეგ კიდევ ათასი კილომეტრის უკან მოტოვება. დიმიტრის დედა ფეხზე ძლივს იდგა. აღარც სახსრები გააჩნდათ. კარ-მიდამოს გაყიდვით აღებული ფული უკანასკნელ გროშამდე შემოეხარჯათ.

არც დიმიტრის ჯანმრთელობას უჩანდა კარგი პირი. სისხლს იღებდა, ფერმკრთალი იყო, ხოლო თვალები ხშირად ანთებული ჰქონდა.

როგორ უნდა მოიქცნენ ახლა მენდელეევები, რაღა ქნან, — უკან გაბრუნდნენ ტობოლსკში, ნათესავებს შესთხოვონ ხელის გამართვა?

არა, დიმიტრის დედა ისეთ ადამიანთა რიცხვს არ ეკუთვნოდა, რომლებიც ერთხელ წამოწყებულ საქმეს ბოლომდე არ მიიყვანდნენ. თოთხმეტი შვილი გააჩინა. ცამეტი უკვე დაბინავებული ჰყავდა. არცერთ მათგანს არ უგრძვნია, რომ მამა დაუბრმავდათ და ადრე გარდაეცვალათ. ახლა კი, მანამ ვერ მოისვენებს, სანამ მისი უმცროსი შვილი სპეციალობას არ მიიღებს, რაც ასე დაამშვენებდა მის ნათელ გონებას.

კვლავ გზას დაადგნენ და გადაწყვიტეს ახლა პეტერბურგში ეცადათ ბედი. იმედის ნაპერწკალი უნათებდათ გზას და მატებდათ ძალ-ღონეს.

მათი მოლოდინი გამართლდა. დიმიტრი სამედიცინო-ქირურგიულ აკადემიაში შევიდა.

მაგრამ დაესწრო თუ არა პირველივე გვამის გაკვეთას, გული წაუვიდა. არ იყო მედიცინისათვის დაბადებული. ამიტომ ისევ თავიდან უნდა შეუდგომოდნენ სპეციალობის გამოძებნას.

თქვენი შვილი მასწავლებლად აღზარდეთ, — ურჩია მარია მენდელეევას პროფესორმა, — პედაგოგიურ ინსტიტუტში კარგ განათლებას მიიღებს, უზრუნველყოფილი იქნება სტიპენდიითა და ინტერნატით. თქვენც შეღავათი მოგეცემათ.

დიმიტრი თანახმა იყო, მაგრამ ადმინისტრაციამ უარი თქვა. სტუდენტობაში არეულობა სუფევდა, გამოსვლები ეწყობოდა მეფისა და ბატონყმობის წინააღმდეგ. სტუდენტებს ციმბირში ასახლებდნენ. უნივერსიტეტში არავის იღებდნენ.

დიმიტრის დედამ ბიუროკრატიზმის მთელი საფეხურები დაირბინა. იარაღად დიმიტრის ატესტატი, მათემატიკასა და ფიზიკაში მისი წარმატებები დაჰქონდა. ის ფარ-ხმალს არ ჰყრიდა. ისეთ ადამიანებსაც ხვდებოდა, რომლებსაც გამბედაობა შესწევდათ და მისი ვაჟის სასარგებლოდ სიტყვას შეაწევდნენ ხოლმე. მათ შორის იყო პედაგოგიური ინსტიტუტის დირექტორი, მისი ქმრის ყოფილი კოლეგა სტუდენტობის ჟამს.

1850 წელს დიმიტრის ნება დართეს წარმდგარიყო მკაცრი გამომცდელების წინაშე და მისაღები გამოცდები ჩაებარებინა. სნეულად და ბედშავად გრძნობდა იგი თავს, მაგრამ მაინც გავიდა გამოცდებზე.

თავისი წარმატებებით ფრთაშესხმული შინისაკენ გაეშურა. როგორ გაიხარებს დედა, რომელმაც მისი გულისთვის ყველაფერი დათმო: სამშობლო ტობოლსკი, ნათესავ-ახლობლები, მეგობრები, რომელთანაც დაკავშირებული იყო მთელი სიცოცხლე. ახლა უკვე შეიძლება დაისვენოს ამდენი გაჭირვებისა და მღელვარებისაგან, რომელმაც მთლად გამოაცალა ძალა და მიასუსტა.

შინ დედა, როგორც ამ ბოლო დღეებში დასჩვევოდა, ტახტზე წამოწოლილი დახვდა. შვილის დანახვაზე, ოდნავ წამოიწია, მაგრამ დიმიტრის არ გამოპარვია, როგორ ატანდა თავს ძალას. თან გაიღიმა, რადგანაც უკვე ამოიკითხა შვილის თვალებიდან ყველაფერი...

— მოეწყე, მიტენკა, ჩემო პატარავ, ჩემო ნაბოლარავ, ჩემო დამტირებელო. ნუ ნაღვლობ, მე ძალიან, ძალიან ბედნიერი ვარ. ჩემი ცხოვრება ძალიან ლამაზი იყო პირველი დღიდან დაწყებული უკანასკნელ წუთებამდე. რაც მინდოდა, თითქმის ყველაფერს მივაღწიე. კარგი მეუღლე მყავდა, თოთხმეტი შვილი გამიჩნდა, შენც, ჩემო ნაბოლარავ, ახლა უკვე უზრუნველყოფილი ხარ. სხვა მეტი რა უნდა უნდოდეს დედას? მაგრამ არ მინდა თავი შეგაწყინო ამდენი ლაპარაკით. მოდი შვილო, წამიკითხე რამე. ხომ იცი, წიგნები ჩემი საუკეთესო მეგობრებია. ცუდად იქნებოდა ჩემი საქმე, მარტო ხორციელი კეთილდღეობისათვის რომ მეზრუნა და სულისა, გულისა და გონებისათვის არცერთი წუთი არ დამეთმო.

ყოველივე ეს საშინლად უცნაურად ეჩვენა დიმიტრის. ახლა, როცა ნამდვილად ბედნიერი უნდა ყოფილიყო პედაგოგიურ ინსტიტუტში მოწყობით, როცა დედას უკვე შეეძლო მშვიდად და უშფოთველად ეცხოვრა, უზრუნველად ყოფილიყო, სწორედ ახლა გამოელია ძალა. დღითიდღე სუსტდებოდა და უძლურდებოდა.

თვითონაც გრძნობდა სისუსტეს. უმატა სისხლიან ნახველს. ხელებით გულ-მუცელს ამოიგდებდა ხოლმე და ხანდახან კანკალიც აუტყდებოდა. ჯერ ერთი საათი უნდა დაესვენა, რომ ისევ ჯდომა და სიარული შესძლებოდა.

დედა თითქოს ველარ ამჩნევდა თავისი ვაჟის მდგომარეობას. მის წინ მხოლოდ ბედნიერი სტუდენტი იდგა, და ტკბებოდა იმ წუთებით, მიტია რომ მასთან ატარებდა. სიამოვნებით ისმენდა შვილის მონაყოლს ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტზე გაწეული მუშაობების შესახებ.

— შენ სულ მამას დაემსგავსე, — წამოიწყო მისუსტებული ხმით დედამ. — სხვებისგან განსხვავებით, ის არასოდეს ყოფილა მხოლოდ მასწავლებელი. არ სურდა ისეთ ბავშვებთან ჰქონოდა საქმე, რომლებიც თუთიყუშივით მხოლოდ მის ნათქვამს გაიმეორებდნენ. „თითოეულს თავისი გონება აქვს“, — ამბობდა ის, — „თითოეული თავისებურად აღიქვამს სამყაროს. ამიტომაც არის, რომ ერთნი ერთს



ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

აღმოაჩენენ, მეორენი მეორეს და მესამენი მესამეს. ამიტომაც არის, რომ ჩვენ ყველანი ერთად ბევრ აღმოჩენას ვახდენთ. ჩვენ, მასწავლებლებმა ბავშვებს უნდა ვასწავლოთ, როგორ ხდება აღმოჩენები, როგორ შეიცნობა რაღაც ახალი.

დედას ეტყობოდა ჩაეძინა. რა სიამოვნებით ისმენდა ხოლმე დიმიტრი დედის მონაყოლს მამაზე, რომელიც სწორედ მაშინ გამოეცალათ, როცა ყველაზე მეტად სჭირდებოდათ მათ. მაგრამ დედა, დედა ხომ მართლაც საოცარი ადამიანი იყო. მამის მაგივრობაც გაუწია, დიდ ოჯახსაც უვლიდა. საზრუნავი არ აკლდა, მაგრამ დროს მაინც გამონახავდა და ბავშვებს წიგნებს უკითხავდა, უამრავ წიგნს. და ახლა, როცა დაასრულა, როგორც თვითონ ამბობდა, თავისი უკანასკნელი სამუშაო, მთლიანად მოგონებებში ჩაიძირა.

დიმიტრიმ თვალები გაახილა და შიშმა შეიპყრო. დედა უჩვეულოდ უმოძრაო თვალებით იყურებოდა ოთახში. ხელი შეავლო, ხელი ცივი იყო და უსიცოცხლო.

დედა მომკვდარიყო...

დიმიტრი მენდელეევი სამოცდაცამეტი წლისა გარდაიცვალა. მისი ანდერძის თანახმად, დედის გვერდით დაასაფლავეს, ვოლკოვოს სასაფლაოზე. სამგლოვიარო პროცესიას წინ ორი სტუდენტი მიუძღოდა. მათ დაფა მიჰქონდათ, რომელზეც პერიოდული სისტემის გამოსახულება იყო. ყრუდ ეყრებოდა მიწის ბელტები ლითონის კუბოს. მალე საფლავზე მთელი მსოფლიოდან გამოგზავნილი გვირგვინების მთა აღიმართა.

დასასრულს გავიხსენოთ დიმიტრი მენდელეევის სიტყვები, თავის ერთ-ერთ უდიდეს ნაშრომს რომ წაუმძღვარა: „ამ გამოკვლევას დედის ხსოვნას ვუძღვნი მისი ნაბოლარა შვილი. დედამ გამიკვლია გზა თავისი შრომით, აღმზარდა საკუთარ მაგალითზე და დამხვეწა სიყვარულით. ჩემი თავი მეცნიერებისათვის რომ ჩაებარებინა, ციმბირიდან გამომიყვანა, რასაც თავისი უკანასკნელი ძალები და სახსრები შეალია. სიკვდილის წინ მიანდერძა, სიტყვა ყოველთვის საქმით დამემშვენებინა, მოთმინება გამომეჩინა ღვთისა ანდა მეცნიერული ჭეშმარიტების ძიებაში. დედამ იცოდა, რომ ცარიელი კამათი მცდარი იყო, რომ ბევრი რამ კიდევ გამოსაკვლევი იყო. ისიც იცოდა, რომ მეცნიერების მეშვეობით შეიძლებოდა ცრურწმენის, უმეცრებისა და სიცრუის დაძლევა, (არა ძალდატანებით, არამედ სიყვარულითა და სიმტკიცის გამოჩენით) რომ მეცნიერების საშუალებით მოიპოვებდა კაცობრიობა: მიღებული ჭეშმარიტების უსაფრთხოებას, შემდგომი განვითარების თავისუფლებას, საყოველთაო კეთილდღეობასა და პირად ბედნიერებას. დედის ანდერძს პირნათლად ვასრულებ დ. მენდელეევი“.

გერმანულიდან თარგმნა
მედეა კოდუამ

## საინტერესო თემაზე

# მარგარინი

ამ ფართოდ ცნობილ პროდუქტს 1980 წელს 110 წელი შეუსრულდა.

XIX საუკუნის 60-იან წლებში ევროპაში, განსაკუთრებით კი საფრანგეთში ცხიმის ნაკლებობა აღინიშნებოდა. ამიტომ პრუსიასთან საომრად მზადების დროს ნაპოლეონ მესამის მთავრობამ კონკურსი გამოაცხადა, სასწრაფოდ ეპოვათ ხერხი ისეთი პროდუქტის მიღებისა, რომელიც კარაქს შესცვლიდა.

პირველი პრემია მიენიჭა ფრანგ ქიმიკოსს მეჟ-მურიეს, რომელმაც საქონლის ქონისაგან გამოიმუშავა ხელოვნური კარაქი. მეჟ-მურიემ, როგორც კი მიიღო პატენტი თავის გამოგონებაზე, დაბა პუასში ააშენა მსოფლიოში პირველი ხელოვნური კარაქის დამამზადებელი ქარხანა.

ამ კარაქს სხვადასხვა სახელწოდებებს აძლევდნენ: ბატერიტი, ხელოვნური კარაქი, დაბოლოს დამკვიდრდა სულ სხვა სახელწოდება—მარგარინი.

ამბობენ, რომ მეჟ-მურიემ თავის გამოგონილ კარაქს — ოლეუმ მარგარონ დაარქვა.

ოლეუმ ლათინური სიტყვაა და კარაქს ნიშნავს, ხოლო მარგარონ ბერძნულად მარგალიტია (მზეზე მოციმციმე ცხიმოვანი ემულსიის ბურთულაკები ნამდვილად მარგალიტებს წააგავს). აქედან მიიღეს სახელწოდება „მარგალიტის კარაქი“. შემდეგ, დროთა განმავლობაში, სიტყვა ოლეუმ დაიკარგა და დარჩა ნაწილობრივ შეცვლილი სახელი მარგარინი.

დღეს მარგარინის ასორტიმენტი ძალზე დიდია. ცალკეული დასახელებები ასახავენ ან რეცეპტურის თავისებურებას, ან პროდუქციის განსაკუთრებულ თვისებებს. მაგალითად: სუფრის მარგარინი, გარდა ჩვეულებრივი მოხმარებისა, გამოიყენება პროდუქტების შესაწვავად, ცომეულში, ბუტერბროდების დასამზადებლად.

გარეგნული შესახედაობით, სტრუქტურით, კალორიულობით, შეთვისების უნარიანობით, გემოთი და სუნით სუფრის მარგარინი კარაქის მსგავსია და მის მაგივრადაც გამოიყენება.

კარაქი შეიცავს 82-84 პროცენტ ცხიმს, სუფრის მარგარინშიც ცხიმის შემცველობა იგივეა. კარაქში ცილების შემცველობა 0,45-დან 0,5 პროცენტამდეა, მარგარინში კი — 0,5-დან ერთ პროცენტამდე. ზოგიერთ სუფრის მარგარინს უმატებენ ცხიმის გამხსნელ ვიტამინებს A და D-ს. თხევად მცენარეულ ზეთებთან ერთად მარგარინის შემადგენლობაში ხვდება ადამიანის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი ცხიმოვანი მჟავები, რომლებიც B და F ვიტამინების სახელწოდებით არის ცნობილი (ლინოლევის, ლინოლანოვის, არახისის), რომლებიც ძალზე უმნიშვნელო რაოდენობით შედის ცხოველური წარმოშობის ცხიმებში და მათ შორის კარაქშიც.

თარგმანი ჟურნალიდან —
„ოგშესტვენნოე პიტანიე“

# უკან დაბრუნებული მინა

მინის (შუშის) უპირატესობა სხვა მასალასთან შედარებით ის არის, რომ მისი განმეორებით გამოყენება შეიძლება. ნამტვრევი და წუნი მინა ქარხნის ქვაბებში ბრუნდება.

მინა დიდი რაოდენობით იმტვრევა აგრეთვე ყოფა-ცხოვრებაში გამოყენებისას. ნაგავს ატანენ წამლების მთელ-მთელ შუშებს, ფლაკონებს, ბოთლებს, ქილებს. მაგალითად, 1968 — 70 წლების მონაცემებით მინა მოსკოვში — საყოფაცხოვრებო ნარჩენების 3,5 პროცენტს შეადგენდა, ხოლო ლენინგრადში — 7,4 პროცენტს.

ნაგავში გადაყრილი მინის ნარჩენები მიდის მინის ტარის წარმოებისათვის. ასე რომ, როცა მაღაზიაში ვყიდულობთ მინერალურ წყალს, ლუდს, ლიმონათს, უნდა ვივარაუდოთ, რომ ის ორი ბოთლისაგან, ორი გადაყრილი ნარჩენისგან არის დამზადებული.

მინის ნარჩენების უტილიზაციის პროცენტი შეიძლება კიდევ უფრო გავზარდოთ. ამიტომ, ნუ გავატანთ ნაგავს ბოთლებს, ქილებს, წამლის შუშებს. ყველაფერი მინის მიმღებ პუნქტებს უნდა ჩაბარდეს.

ქაღალდის მაკულატურის შეგროვება შედარებით კარგად მიმდინარეობს. ასევე აუცილებელია მინის შეგროვების საქმეც მოვაწესრიგოთ.

# მონარჩენებისაგან— უნარჩენოდ

1979 წელს ქალაქ იოკოჰომაში (იაპონია) ექსპლოატაციაში შევიდა საყოფაცხოვრებო მონარჩენების გადამმუშავებელი ახალი ქარხანა. მისი მშენებლობა დაახლოებით 30 პროცენტით მეტი დაჯდა, ვიდრე იმავე წარმადობის მქონე საყოფაცხოვრებო მონარჩენების გადამწველი ქარხნისა. ეს ქარხანა სწრაფად დაიწყებს მასზე გაწეული ხარჯების ანაზღაურებას.

სპეციალურ მბრუნავ ბარაბანში ცალცალკე გამოიყოფა კვების ნარჩენები, ქაღალდი, პლასტმასა, ლითონი.

საკვები ნარჩენები გადაიქცევა ორგანულ სასუქად, ლითონი წავა გადასადნობად, დაიწვება მხოლოდ პლასტმასის ნარჩენები, რის საფუძველზეც მიიღება საწვავი გაზი. ქაღალდის ნარჩენებს კი გადააქცევენ პულპად. ამასთან, ამტკიცებენ, რომ ეს მასა თავისი სისუფთავით აღემატება ქაღალდის მასას, რომელსაც საგაზეთო ქაღალდის დასამზადებლად გამოიყენებენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა





# მოდა



ეროვნული ბიბლიოთეკა




## უპასუხისმგებლობა თუ დაუდევრობა?

თბილისში რომელ სავაჭრო მაღაზიაშიც არ შევედით, ყველგან თვალში გვეცა კედელზე ლამაზი ასოებით გაკრული წარწერა, „ყველაფერი თქვენთვის, ქალებო!“

მივესალმეთ გამყიდველს და ვკითხეთ:

— სარეცხის დასაუთოებელი საკეცი დაფა თუ გაქვთ?

— არა!

— იქნებ, სარეცხის ხის სარჭეები გქონდეთ?

ჭიდეც დაგვავიწყდა როდის გვქონდა, — იყო ცივი პასუხი.

მერე სამზარეულოს უბრალო ხის კარადა მოვიკითხეთ.

გამყიდველმა გულისწყრომა ვერ დამალა და ცალყბად გვითხრა.

— ხის კარადა რახანია არ მიგვიღია.

საოცარია, იმ დროს, როცა ჩვენს ქვეყანაში ყველაფერი მხოლოდ ადამიანის კეთილდღეობისათვის კეთდება, რა გაჭირდა ამ უბრალო, მაგრამ ოჯახისათვის მეტად საჭირო საგნების დამზადება? რა დავარქვათ ამას, უპასუხისმგებლობა თუ დაუდევრობა?

ვ. მჭედლიძე,
თ. გოცირიძე,
თბილისი.

## რატომ არის ასე

თბილისურმა შოკოლადმა „დათუნიამ“, „გრილიაჟმა“, „მზიურმა“ და სხვ. შორს გაითქვა სახელი. მაგრამ ამას ვერ ვიტყვით კარამელზე. იგი მეტწილად უგემურია, ხოლო პიტნის კამფეტს მხოლოდ პიტნის ეტიკეტით თუ გამოიცნობთ.

ეს მოკლედ თქმული ჩვენი მომხმარებელთა საყვედურია.

ნ. მეზვრიშვილი
ზ. გოგოლაძე

## „საქართველოს ქალის“ სიგნალის შემდეგ

### სად ვეძებოთ ბავშვის საწოლი

შარშან სექტემბრის ნომერში ასეთი სათაურით დაიბეჭდა კრიტიკული წერილი ჩვენს ჟურნალში. ამის გამო საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროს რესპუბლიკური საბითუმო-საცალო გაერთიანება „ავეჯის“ სამმართველოს უფროსი ი. არჩვაძე რედაქციას აცნობებს: საკითხი დავაყენეთ ხე-ტყისა და ხის დამამუშავებელი მრეწველობის სამინისტროს, აგრეთვე თბილისის ხის დამამუშავებელი კომბინატის წინაშე. შარშან 15 დეკემბერს ფოთის სავაჭრო ორგანიზაციას გადაეგზავნა (კუთვნილი ფონდის ფარგლებში) საბავშვო საწოლები და სხვა დასახელების საქონელი.



## ჟან ეტიენ ლიოტარი — (1702-1789) „შოკოლადის მიმტანი“

შვეიცარიელი ფერმწერი ჟან ეტიენ ლიოტარი შემოქმედებით მოღვაწეობას ეწეოდა ჟენევაში, პარიზში, ვენაში, ევროპისა და აღმოსავლეთის მთელ რიგ ქვეყნებში. მის მიერ შექმნილი სურათები (ძირითადად პასტელში შესრულებული) გამოირჩევა ნატურის ზუსტი და ფაქიზი გადმოცემით, დეტალების ოსტატური დამუშავებით.

ამჯერად ჩვენი ჟურნალი გთავაზობთ ჟან ეტიენ ლიოტარის ცნობილ სურათს — „შოკოლადის მიმტანს“.

ყდის პირველ გვერდზე — დ. იაკობაშვილის ფოტომონტაჟი — „ბარაქა“; მეოთხეზე — ჟან ეტიენ ლიოტარი — „შოკოლადის მიმტანი“.

რედაქტორი მარიკა ბარათაშვილი

სარედაქციო კოლეგია: ბ. ბანძელაძე, ნ. გაფრინდაშვილი, ნ. გურგენიძე, ლ. კაკაბაძე, ზ. კვაჭაძე, ნ. კილასონია, თ. ლაშქარაშვილი, ქ. ლომთათიძე, პ. ულენტი, ც. ტერელაძე (მხატ. რედაქტორი), ნ. შალუტაშვილი, ლ. შეწირული, ნ. ცაგარეიშვილი, ნ. ჯავახიშვილი, ე. ჯაფარიძე (პ. მგ. მდივანი).

ტექრედაქტორი ნ. ბუკია

საქ. კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, თბილისი, ლენინის ქ. № 14.
Типография издательства ЦК КП Грузии, Тбилиси, ул. Ленина, 14.

რედაქციის მისამართი — ლენინის ქ. № 14. ტელეფონის №№ რედაქტორის — 99-98-71, პასუხისმგებელი მდივნის — 99-71-68. მხატვრული რედაქტორის — 93-98-57. საერთო განყოფილების 93-98-54. გადაეცა ასაწყობად 4. 1. 82 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 8. 2. 82 წ. ქაღალდის ზომა $60 \times 1/3$. ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 3. სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 5,3.
ტირაჟი 126.100. შეკვ. 29. უე 06065.



# ალავერდი

თელავიდან ჩრდილო დასავლეთით, ალაზნის ველზე დგას XI საუკუნის სახელგანთქმული საეპისკოპოსო ტაძარი ალავერდი. მისი ცადატყორცნილი გუმბათი და თეთრი კედლები შორი მანძილიდანაც კარგად მოჩანს და, თვალწარმტაც სივრცესთან შერწყმული, წარუშლელ შთაბეჭდილებას ახდენს.

ძველი ქართული ხელოვნების მიღწევებისა და ცოდნის ჯეროვანი გამოყენებითა და საკუთარი შემოქმედებითი ნიჭის სრული გაშლით ტაძრის ხუროთმოძღვარმა მოგვცა გრანდიოზული, კომპოზიციურად შეკრული ნაგებობა, რომელიც საქართველოს ტაძართა შორის უმაღლესია (გუმბათიანად 50 მეტრს აღემატება).

როგორც აკადემიკოსი ვახტანგ ბერიძე აღნიშნავს, „აქ მანამდეც არსებობდა ეკლესია, დაარსებული VI საუკუნეში იოსებ ალავერდელის მიერ. იოსები 13 ასურელი (სირიელი) მისიონერის ჯგუფს ეკუთვნოდა. მაშინ ეს ტყეებით დაფარული, უდაბური ადგილი იყო. საფიქრებელია, რომ აქ ძველთაგანვე იყო წარმართული სამლოცველო და ახალმა ქრისტიანულმა ეკლესიამ საგანგებოდ აირჩია ეს ადგილი თავისი ტაძრისათვის, რომ მლოცველთათვის შეჩვეულ ადგილს დაპატრონებოდა და თან დაემტკიცებინა თავისი უპირატესობა ძველ სარწმუნოებასთან შედარებით. ახალი დიდი საეპისკოპოსო ტაძრის აშენება კი მოხერხდა მხოლოდ კახეთის სახელმწიფოს აყვავებისა და ძლიერების ხანაში".

ალავერდის ტაძრის გეგმის საფუძველს ტრიკონქი შეადგენს. აქ სამივე აფსიდი გარეკედლების სწორკუთხედის ფარგლებშია მოქცეული, რის გამოც ჯვრის სახე შენობის მასებით სივრცეში იქმნება. აფსიდები ერთმანეთს მიუახლოვდა და მძლავრ გუმბათქვეშა ბოძებს გადაება. დასავლეთის მკლავის გარშემო აქაც პატრონიკეა. ამრიგად, შეიქმნა გრანდიოზული შიდა სივრცე, რომელიც დიდ შთაბეჭდილებას ახდენს მნახველზე. შიდა სივრცეში ნათლად, აშკარად იკვეთება კახური ძეგლების თავისებურება-პროპორციების აზიდულობა, ვერტიკალობა, გარედან კი ფასადების მორთულობის სიძუნწე.

ალავერდის ტაძრის ძირითადი ნაწილები რიყის ქვითაა ნაშენი, მაგრამ თავდაპირველად კედლები გარედანაც და შიგნიდანაც მთლიანად მოპირკეთებული იყო შირიმის (ნასვრეტებიანი ტუფის) თლილი ფილებით.

ისე, როგორც მრავალმა ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლმა, ალავერდის წმინდა გიორგის სახელობის საეპისკოპოსო ტაძარმა მრავალგზის შემოსევა და დაზიანება განიცადა.

მე-15 საუკუნის უკანასკნელ მეოთხედში კახეთის მეფე ალექსანდრემ, მისმა დედამ ნესტან-დარეჯანმა და მეუღლემ ანამ „დაქცეული და დაძველებული აღაშენეს ალავერდისა სამხრენი და გუმბათნი, და დაახატვინა".

XVII საუკუნის პირველ ნახევარში ალავერდის ტაძარს დიდი ვნება მიაყენეს სპარსელებმა. შაჰ აბას პირველის მეომრები ულმობლად ულეტდნენ და აწიოკებდნენ კახეთის მოსახლეობას. შემდგომ ხანებში ალავერდი სპარსელების სადგომს წარმოადგენდა. მტერმა ის ციხე-სიმაგრედ აქცია და აქედან უტევდა კახეთის მოსახლეობას. სწორედ ამ პერიოდს მიეკუთვნება ფეიქარხანის სასახლე, დაბალი ოთხკუთხა შენობა, ყაზარმა და სხვ. ამაყ კახელებს არასოდეს უფიქრიათ ეტარებინათ მონობის უღელი, განსაკუთრებით ეს ნათელყო 1659 წლის აჯანყებამ, როდესაც ქართველებმა ბახტრიონის ციხე აიღეს, ალავერდში გამაგრებულ მეჰმადიანებსაც მუსრი გაავლეს და ტაძარი კვლავ გაწმინდეს და აღადგინეს.

1742 წელს მიწისძვრამ ერთხელ კიდევ საგრძნობლად დააზიანა ალავერდის ტაძარი, მაგრამ ამჯერად თეიმურაზ მეორის მეუღლის თამარის თაოსნობით იქნა აღდგენილი და განახლებული, რაც საბოლოოდ მისმა ძემ პატარა კახმა, ერეკლე მეორემ დაასრულა.

დაარსებიდანვე ალავერდის ტაძარი ძველი ქართული მწერლობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან კერას წარმოადგენდა. სხვადასხვა დროს აქ მოღვაწეობდნენ ქართული კულტურის ისეთი ცნობილი მოამაგენი, როგორებიც იყვნენ ფილიპე ალავერდელი, ნიკოლოზ ჩოლოყაშვილი, იოანე ლარაძე და სხვა.

ალავერდის მონასტერში არსებობდა საკმაოდ მოზრდილი ბიბლიოთეკა, რომელიც იზრდებოდა და მდიდრდებოდა იქვე გადაწერილი თუ სხვაგან დამზადებული ხელნაწერი წიგნებით.

ალავერდის ხუროთმოძღვრულ ანსამბლს დღესაც შენარჩუნებული აქვს ქართული ხუროთმოძღვრებისათვის დამახასიათებელი სინატიფე და შთამბეჭდაობა, რაც ესოდენ დიდ როლს ასრულებს თაობათა ესთეტიკური და პატრიოტული გრძნობით აღზრდის საქმეში. მას, როგორც ხუროთმოძღვრების ერთ-ერთ უპირველეს ძეგლს, ყურადღება მიექცა საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ, განსაკუთრებით კი უკანასკნელ წლებში. ძეგლი მხოლოდ ჩვენ დროში იქნა მეცნიერულად შესწავლილი და განხორციელდა უმნიშვნელოვანესი საკონსერვაციო-სარესტავრაციო სამუშაოები, მარტო ის რად ღირს, რომ გაიხსნა კედლის შესანიშნავი მხატვრობა, რომელსაც დიდხანს შელესილობა ფარავდა. კეთილმოეწყო ტაძრის გალავანი და ეზო-მიდამო, ალავერდისაკენ მნახველთა ტალღა არასოდეს წყდება.

ირაკლი ზაქარიაშვილი



ინდექსი 76178

ფასი 30 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა